პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 132 (12046)
კვირა, 11 ივნისი, 1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

კომუნისტურად შევხვდეთ ლენინის დიადი პარტიის XXII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჰაგუკს!

ძვირფასო ამხანაგებო!

ამა წლის ოქტომბერში გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ყრილობა შეჯამებს პარტიისა და ხალხის უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის შესანიშნავ შედეგებს, მიიღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამას.

მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ეგებება ჩვენი ხალხი ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას. ყოველდღე მოდის შესანიშნავი ამბები შრომითი გამარჯვებების შესახებ ქარხნებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ერთგული ლენინელი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით აშენებენ კომუნიზმის ნათელ შენობას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა უმაგალითო ტემპებით ვითარდება. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში ფოლადის გამოდნობა გადიდდა 2,4-ჯერ, ნავთობის მოპოვება — 3,9-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — ერთისამად და მეტად. სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი სსრ კავშირში 5-ჯერ და მეტად აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების ტემპს.

მტკიცედ ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა. საშუალოდ უკანასკნელ ხუთ წელიწადში ერთი მილიარდი ფუთით და მეტად გაიზარდა სასაქონლო პურის წარმოება, თითქმის 2,5-ჯერ გადიდდა რძის შესყიდვა და ორჯერ და მეტად ხორცისა.

საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის გვირგვინი იყო პირველი ადამიანის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის იური ალექსის-ძე გაგარინის ტრიუმფული გაფრენა კოსმოსში. ეს კანონზომიერი გამარჯვებაა, ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა, საბჭოთა ხალხის გენიისა, რომელსაც კომუნისტური პარტია მიუძღვის.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. არსად და არასოდეს არ გაკეთებულა მშრომელისათვის იმდენი, რამდენიც გაკეთდა საბჭოთა სოციალისტური წყობილების პირობებში.

ჩვენში განხორციელდა შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, კაცობრიობის ისტორიაში პირველად იქნა მიღებული და ხორციელდება კანონი მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ. უკანასკნელ ორ წელიწადში 20 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე შესახლდა ახალ ბინებში. უფასო განათლება, უფასო სამედიცინო დახმარება, ფართო სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა პენსიით და ბევრი სხვა სიკეთე, რომელებსაც მხოლოდ სოციალიზმი იძლევა, — ყოველივე ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი გახდა თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ კომუნიზმისათვის დიდ ლაშქრობაში ვიმყოფებით. ამ ყველაზე სამართლიან საზოგადოებაში შეიქმნება ვეფხვისა შესაძლებლობა მშრომელთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს: გამარჯვება თავისთავად როდი მოვა. „დოვლათი ხომ ცოდან არ ცვივა, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. — მას ქმნის მუშათა, გლეხთა, სახალხო ინტელიგენციის შრომა, მეცადინეობა. მხოლოდ ბეჯითი, დაძაბული შრომით, არ დავზოგავთ რა ჩვენს ღონისძიებებს კომუნიზმის მშენებლობაში, ჩვენ დღითიდღე სულ უფრო სრულად ავავსებთ ჩვენს კომუნისტურ ფიალას, რომელიც სულ უფრო სრულად და სრულად დაკმაყოფილებს საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებლების მოთხოვნილებებს“.

შრომითი გმირობა საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანის ქცევის ნორმა გახდა. ლენინური კომკავშირი ყოველთვის გამოდიოდა პარტიის აქტიურ თანაშემწედ მის საქმეებში საზოგადოების გარდასაქმნელად. ყამირზე, ციმბირისა და ჩრდილოეთის მშენებლობებზე, ჩვენი ქვეყნის დაუსახლებელ რაიონებში, იქ, სადაც გადის კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზი, ენთუზიაზმით მიდის ახალგაზრდა დაუცხრომელი თაობა. კომკავშირული საგუნური გახდა ჩვენი დროის მკაფიო ნიშანი, კომუნიზმის იდეებისადმი ჩვენი ახალგაზრდობის ერთგულების გამოხატულება.

პარტიის მოწოდებამ — კომუნისტურად შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას — გამოიწვია მზურვალე გამოძახილი მილიონობით ადამიანის გულში, სოციალისტური შეჯიბრების საყოველთაო-სახალხო ალმავლობა. ასეულათასობით კომკავშირელი, ქალიშვილი და ჰაგუკი მოსკოვის ახალგაზრდობის თაოსნობით პირად შრომითს ხაჩუქრებს უმზადებს ყრილობას. ბევრმა მათგანმა ვალდებულება იკისრა ვადაზედ, 17 ოქტომბრისათვის, შეასრულოს წლიური საწარმოო დავალება, ითვისოს ახალი ტექნიკა ან დაენერგოს პროგრესული სამარჯვი, ათმაღლოს კვალიფიკაცია ან დაეუფლოს მომიჯნავე პროფესიას. დაეხმაროს ჩამორჩენილს, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაში.

გორკის ოლქის კომკავშირელებმა, რომლებიც ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური პარტიის ყრილობას, იკისრეს შეფობა ახალი მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოების შექმნისადმი, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისადმი.

უკრაინის, აზერბაიჯანის, ლენინგრადისა და ვორონეჟის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და დამკვრელებმა ამ შეჯიბრების ყველა მონაწილეს მოუწოდეს მიიღწიონ იმას, რომ პარტიის ყრილობისათვის მოწინავეებთან ერთად არ იყვნენ ჩამორჩენილნი, ხელი შეუწყონ მეზობელ ბრიგადებს, პროფესიით თავიანთ ამხანაგებს საპატიო წოდების ნოპოვებაში.

რაც უფრო ახლოვდება ყრილობა, მით უფრო მეტია საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ასეთი მაგალითი, მით უფრო სრულად ჩანს ჩვენი ახალგაზრდობის მხურვალე მისწრაფება — იცხოვროს და იშრომოს კომუნისტურად.

დღეს უკვე 12 მილიონზე მეტი მშრომელი მონაწილეობს თანამედროვეობის დიად მოძრაობაში. შრომითს ყოველდღიურობაში იზრდებიან და იწრთობიან კომუნისტის ახალგაზრდა მშენებლები.

დე მომავლის მზვერავთა რიგებს შეუერთდნენ ახალგაზრდობის ახალი რაზმები. დე ყოველი კომკავშირელი, ყოველი ახალგაზრდა წარმოების მუშაკი შეხვდეს ჩვენი პარტიის XXII ყრილობას კომუნისტური შრომისათვის სახელოვანი მოძრაობის აქტიური მონაწილედ!

შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევა, ახალი ტექნიკის დანერგვა, წარმოების პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია — შვიდწლიანი გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობებია.

ახალგაზრდა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო, იბრძოლეთ სახელმწიფო გეგმებისა და მშრომელთა კოლექტივების ვალდებულებათა შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, დანერგეთ პროგრესული ტექნოლოგია, უახლესი მასალები, შედუღების ტექნიკა, ჩამოსხმისა და ტვიფრვის ზუსტი მეთოდები.

უფრო სრულად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი. ნუ დაკარგავთ სამუშაო დროის ნურც ერთ წუთსა და წამს, არ დაუშვათ მანქანებისა და მექანიზმების მოცდენა. ჩვენი წარმოების უდიდესი მასშტაბების დროს თუნდაც ერთი წუთის დაკარგვა იმას ნიშნავს, რომ დავკაროთ სახელმწიფოს ასობით ტონა ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი, ათობით საცხოვრებელი სახლი, ათასობით მეტრი ქსოვილი.

ჩვენ გვაქვს ბეშმარტად აუთვალისწინებელი რეზერვები, ჩაუფიქრდით ამ ციფრებს: მასალების, სათბობის, ნედლეულის, ერთი პროცენტის დაზოგვა ნიშნავს იმას, რომ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში დამატებით მივიღოთ 700 ათას ტონაზე მეტი ფოლადი, 1,5 მილიონი ტონა ნავთობი და 8 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ნახევარი მილიონი ტონა ცემენტი.

მხოლოდ ჩინებული უნდა იყოს შრომის შედეგები. შეკმენით ისეთი ჩარხები და მანქანები, რომ მუშებმა, სოფლის მექანიზატორებმა შეგიკონ თქვენ. აშენეთ სახლები ისე, რომ ახალმოსახლეებმა მადლობა გითხრან, გამოუშვით ისეთი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, რომ მათ დაამშვენონ საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, გაახარონ მისი თვალი.

ახალგაზრდა წარმოების მუშაკო, ყრილობისწინა შეჯიბრებაში რომ მონაწილეობ, იშრომე ისე, რომ ყრილობისადმი საყოველთაო-სახალხო პატაკში ჩაიწეროს სტრიქონი შენს საქმეებზეც. როგორც მრავალი ნაკადული და წყარო წყალუხვ მდინარეებს ქმნის, ისე ყველა ახალგაზრდა მშრომელის ღონისძიებებით შეიქმნება ჩვენი კომკავშირული საჩუქარი პარტიის ყრილობისათვის.

პარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის მასობრივ მოძრაობას შვიდწლედის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისათვის.

ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის, ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის, უფის სინთეზური სპირტის ქარხნის, ესტონეთის „პუნანე-კუნდას“ ცემენტის ქარხნის მშენებლთა და მემანქანეთა ახალგაზრდულმა კოლექტივებმა გადაწყვიტეს ვადამდე, პარტიის ყრილობისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ ახალი ობიექტები. ამ შესანიშნავ თაოსნობას გამოეხმაურნენ ბევრი დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის კოლექტივები, მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მხურვალედ იწონებს კომკავშირულ მშენებლობათა ახალგაზრდული კოლექტივების იმ ვალდებულებებს, რომ ვადამდე, პარტიის ყრილობის წინ ამუშაონ:

სამი ბრძმედი — კრივოი როგის, ნოვაია ტულისა და ყარაგანდის მეტალურგიულ ქარხნებში;

ხუთი მარტენის ღუმელი — მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში, ჩერეპოვეცისა და ყდანოვის მეტალურგიულ ქარხნებში,

ოთხი ნაგლინავი დგანი — ჩელიაბინსკის, კრივოი როგის, ჩერეპოვეცის მეტალურგიულ და სინარის მილის ქარხნებში;

ოთხი ტურბინა — ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურში, ბალტიისპირეთისა და ალი-ბაირამლის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურებში;

ცემენტის წარმოების ხუთი ტექნოლოგიური ხაზი ჩერნორეჩიის, „პუნანე-კუნდას“, ზდოლბუნოვის, ახანგარანის, ჩიმკენტის ქარხნებში;

„დიდი ქიმიის“ თხუთმეტი ობიექტი — უფის, კუიბიშევის, სარატოვის სინთეზური სპირტის ქარხნებში, კუიბიშევის სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში, სტალინოგორსკის, შჩეკინოს, ლისიჩანსკის ქიმიურ, ჩირჩიკის ელექტროქიმიურ კომბინატებში, ჩერკასის, კურსკისა და ენგელსის ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს ქარხნებში;

ქაღალდის, მუყაოს და ცელულოზის გამოსაშვები ახალი სიმძლავრეები — კოტლასის, არხანგელსკის, მარეთის, კონდოპოგის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატებში, ასტრახანის ცელულოზ-მუყაოს კომბინატსა და ქაღალდის ფაბრიკა „წითელ კურსანტში“;

დაამთავრონ მოსკოვ-ირკუტსკის რკინიგზის მაგისტრალის ელექტროფიკაცია.

კომკავშირელებო, ახალშენებათა ახალგაზრდობავ, შვიდწლედის წინა ხაზის პატრიოტებო! უფრო ფართოდ გაშალეთ ყრილობისწინა შეჯიბრება, მიაღწიეთ ძალებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებში, ყველა რეზერვის გამოყენებას მშენებლობის დასაჩქარებლად.

მიმწოდებელი ქარხნების, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, ტრანსპორტის კომკავშირელებო, თქვენს მეცადინეობაზე ბევრად არის დამოკიდებული დამკვრელური მშენებლობათა ახალგაზრდული კოლექტივების მაღალ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება. ქმედითი კონტროლი დაიწესეთ ასამუშავებელი ობიექტების ყველა დაკვეთის დროზე დამზადებისადმი. უზრუნველყავით მათთვის „მწვანე ქუჩა“.

პარტიის ყრილობისათვის დამკვრელური კომკავშირული ობიექტების ამუშავება მთელი ლენინური კომკავშირის ღირსების საქმეა.

ძვირფასო მეგობრებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ახალი აღმავლობის საბრძოლო პროგრამაა. მისი განხორციელებისათვის აქტიურ ბრძოლაში უკვე მოპოვებულია პირველი გამარჯვებანი. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა კარგად შეასრულეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, საძირკველი ჩაუყარეს უხვ მოსავალს. ახლა მთავარია მექანიზაციის, აგროტექნიკის მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე ჩვენს მინდვრებში მოვიყვანოთ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, ჩაის, ბოსტნეულისა და ხილის უხვი მოსავალი.

სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების, ქალიშვილებისა და ჰაგუკების ვალდებულებანი, რომ მოახდინენ მეცხოველეობის 10 ათასი ფერმის მექანიზაციას, გაასუქებენ 15 მილიონ სულ ღორს, გაზრდიან 300 მილიონ ფრთა ფრინველს, პირნათლად უნდა შესრულდეს. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ იმას, რომ სიუხვე იყოს ჩვენი ხალხის სუფრაზე, რომ საკმარისად მოვამარაგოთ ნედლეულით ჩვენი მრეწველობა.

ახლა სოფლის კომკავშირის ყველაზე დაკვრითი საქმე სიმინდია. პარტია მოუწოდებს ახალგაზრდობას იბრძოლოს ამ მძლავრი კულტურის მოსავლის გადაკრით გადიდებისათვის.

ახალგაზრდა მესიმინდეებო! დაეუფლეთ მოწინავეთა გამოცდილებას, იბრძოლეთ იმისათვის, რომ თქვენი ნაკვეთების ჰექტარზე სულ ცოტა 50-70 ცენტნერი მარცვალი სიმინდი, 500-700 და მეტი ცენტნერი მწვანე მასა მოიყვანოთ. ხოლო ჰექტარზე მაგალითად, 500 ცენტნერი სიმინდის მოყვანა იმას ნიშნავს, რომ მივიღოთ 80 ცენტნერი რძე, ანუ 16 ცენტნერი ხორცი. აი რა არის სიმინდი. სხვა რომელ კულტურას შეუძლია გაეჯიბროს მას!

კომკავშირელები სათავეში უნდა ჩაუდგნენ შეჯიბრებას სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, იბრძოლონ მისი თესვა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისთვის, იყონ წამმწყებნი მესიმინდეობის რგოლებისა და ბრიგადების მუშაობაში. ჩვენს კომკავშირულ ლაშქარს პირველად როდი უხდება რთული, წარმტაცი და საინტერესო საქმეების შესრულება! სიმინდის თესვა-მოყვანა თავისებური სიმწიფის ატესტატია, ჩვენი გამოცდაა პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე!

შეფობა ყამირის რაიონების განვითარებისადმი მთელი ლენინური კომკავშირის დიდმნიშვნელოვან საქმედ რჩება.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, ყამირის ახალგაზრდა დამპყრობლებო — იბრძოლეთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი, მყარი მოსავლისათვის, ყოველი ღონისძიებით განავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ყამირი უნდა გახდეს არა მარტო მარცვლეულის წარმოების მსხვილი ცენტრი, არამედ აგრეთვე ხორცის, რძისა და კარაქის ფაბრიკა.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყამირზე მექანიზატორთა მუდმივი კადრების შექმნა. ყამირის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ინსტიტუტებისა და სკოლების, საწარმოებისა და დაწესებულებების ქალაშვილებო და ჰაგუკებო, დაეუფლეთ სოფლის მექანიზატორის პროფესიასა, მზად იყავით იმისათვის, რომ ყოველ მომენტში დაგვეხმაროთ მოსავლისათვის ბრძოლაში.

პარტიის მოწოდებით თვალუწვდენი სივრცეებისაკენ დაიძრა ახალგაზრდა პატრიოტების ახალი რაზმები: ათასობით მშენებელი, მექანიზატორი, მასწავლებელი, ექიმი, კულტურის მუშაკი, ყამირის ახალმოსახლენო, ნუ დაზოგავთ ძალ-ღონეს იმისათვის, რომ ვრცელი ველები ჩვენი სამშობლოს აყვავებული მხარე გახდოთ.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ მთელ ხალხთან ერთად უნდა ვაშენოთ კომუნიზმი და ვიცხოვროთ ახალ საზოგადოებაში. გულმოდგინედ შეისწავლეთ ჩვენი შესანიშნავი სოციალისტური სინამდვილე, ისწავლეთ, რომ ყველგან — წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში — იბრძოლო ახლის ულორტები, აქტიურად, დაუღალავად დაუჭირეთ მხარი, გაავრცელეთ ისინი .

მუდამ უნდა ვგრძნობდეთ პირად პასუხისმგებლობას წარმატებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში. „კომუნიზმი მუშათა მახეებისათვის მისაწვდომი უნდა გახდეს, როგორც საკუთარი საქმე“, — ამბობდა ვ. ი. ლენინი. მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინურ წრთობას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მის აღზრდას, უნდა ვეესწრაფოდეთ იმას, რომ კომუნისტური მორალის პრინციპები ყოველი ქალაშვილისა და ჰაგუკის პირადი რწმენა გახდეს.

თუ თვითეული ახალგაზრდა გაიმსჭვალება საზოგადოებრივი მოვალეობის ისეთივე შეგნებით, როგორც იური გაგარინი და ვალენტინა გაგანოვა, თუ თვითეული მაღაროელი ამოიღებს იმდენსავე ქვანახშირს, რამდენსაც კუზმა სევერინოვი, თუ თვითეული სოფლის მექანიზატორი იმუშავებს ისე, როგორც მუშაობს ნიკოლოზ მანუკოვსკი, თუ თვითეული ჩვენგანი მხარს გაუსწორებს შუქურებს, — რარიგ უფრო შეძლებული და უფრო მძლავრი გახდება ჩვენი საყვარელი სამშობლო, რარიგ დაჩქარდება ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ!

ისწავლეთ პარტიული პრინციპულობა, მტკიცედ იბრძოლეთ ნაკლოვანებათა, უწესრიგობის წინააღმდეგ, უსამობლად ამხილეთ თვალისმაბმელები, წუნისმეკეთებლები, უქნარები, მუქთახორები. „მხუბუქი კავალერიის“ მახვილი მიმართეთ მფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ. ჩვენ არ უნდა გვყავდნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უშრომლად „შეძვრებიან“ კომუნიზმში, მოხვდებიან ახალ საზოგადოებაში.

საბჭოების ქვეყანაში შექმნილია და სულ უფრო უკეთესი ხდება პირობები ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის: მცირდება სამუშაო დღე, უმჯობესდება ყოფაცხოვრება, ფართოვდება სახელმეკეთლობის, კულტურის დაწესებულების, სახპორტო ბაზების ქსელი. ჩვენთვის გახსნილია ცოდნის დაუფლების ყველა გზა. სრულყავით თქვენი პროფესიული ოსტატობა, ნუ დაცხრება თქვენი მისწრაფება, რომ მეტი იცოდეთ, განუწყვეტლივ აიმაღლეთ განათლების დონე, დაეუფლეთ კულტურის მწვერვალებს.

მშრომელთა მზარდი მონაწილეობა საზოგადოების, სახელმწიფოო საქმეების მართვაში ჩვენი დროის დამახასიათებელი ნაშანთვისებაა. ახალგაზრდობის წარმომადგენლები მონაწილეობენ პარტიული კომიტეტების, პროფკავშირების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოთა საწარმოო თათბირების, ამხანაგური სასამართლოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, კომკავშირული შტაბებისა და სახპორტო კავშირების მუშაობაში. უფრო სრულად და აქტიურად გამოიყენეთ ეს შესაძლებლობანი იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას სახალხო-სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები.

ახალგაზრდა თავისი მრავალფეროვანი ინტერესებით ყოველთვის უნდა იყოს კომკავშირული ორგანიზაციის უურადღების ცენტრში. საჭიროა რომ იგი ყოველთვის გრძნობდეს ამხანაგის მხარს, გრძნობდეს მის უურადღებას, კოლექტივის მხარდაჭერასა და დახმარებას.

კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა დახმარება გაუწიონ თვითეულს, განსაზღვრონ თავიანთი კონკრეტული ვალდებულებანი სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ახალი შრომითი საჩუქრებით, კომუნისტურად შეხვდნენ ყრილობას.

ლენინური კომკავშირის წევრები ყოველთვის უნდა უჩვენებდნენ ახალგაზრდობას თავდადებული შრომის, მაღალი შეგნებულობისა და აქტივობის ნიმუშებს. უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ ყოველი კომკავშირელი ახალგაზრდობამ მიიჩნიოს კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლად, რომ ლენინური კომკავშირის რიგები განუწყვეტლივ შეივსოს ჰაგუკებისა და ქალიშვილების ახალი რაზმებით — დიადი კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეებით.

ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდა თავისი ნათელი ბედის ბატონ-პატრონია. მას ახასიათებს ღრმა იდეური რწმენა, მძიებელი გონება სიმტკიცე მიზნის მიღწევაში. ასეთი აღზარდა იგი კომუნისტურმა პარტიამ.

და როგორც შვილი ვერ გადაუხდის დედას ამაგს, ისე ჩვენმა ახალგაზრდა თაობამაც კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ღირსეულად უპასუხოს პარტიას ზრუნვისათვის, დედობრივი გულთბილობისა და ხიუვარულისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძენ მასწავლებელსა და მზრუნველ აღმზრდელს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

კომუნისტურად შეეხვდეთ ლენინის დიადი პარტიის XXII ყრილობას!

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი

მოსკოვი, 1961 წლის 10 ივნისი. კრემლის დიდი სასახლე. საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობის მიტინგის პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის მიტინგი კრემლში

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხების მეგობრობის მიტინგი.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დოქტორ სუკარნოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის, სხვა საბჭოთა ხელმძღვანელების, აგრეთვე ინდონეზიელი სტუმრების გამოჩენას პრეზიდიუმში.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა. სიტყვები წარმოთქვეს კუბინბიუვის სახელობის ელექტროქარხნის მუშამ ა. გ. შიროჩენკოვმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, „საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის“ საზოგადოების თავმჯდომარემ ა. ა. გუბერმა, საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წევრმა ვ. ლ. კუდრიავცევმა, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ი. პ. ვორონინამ, ინდონეზიის ეროვნული უშიშროების მინისტრმა ინდონეზიის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა ნასუტიონმა, პირველი მინისტრის პირველმა მოადგილემ, განაწილების მინისტრმა დოქტორმა ლეიმენამ.

მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დოქტორ სუკარნოს სიტყვებს.

დარბაზობა კრემლში

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს მისი აღმატებულების ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დოქტორ სუკარნოს პატივსაცემად.

დარბაზობაზე დოქტორ სუკარნოსთან ერთად იყვნენ პირველი მინისტრის პირველი მოადგილე, განაწილების მინისტრი დოქტორი ლეიმენი, ეროვნული უშიშროების მინისტრი, ინდონეზიის არმიის შტაბის უფროსი გენერალი ნასუტიონი და სხვა პირები, რომლებიც ახლავან დოქტორ სუკარნოს მოგზაურობისას.

აქ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, გ. ი. გორონოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოთა თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და დოქტორმა სუკარნომ წარმოთქვეს სიტყვები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში დოქტორმა სუკარნომ გადასცა ინდონეზიის რესპუბლიკის უმაღლესი ორდენები — პირველი კლასის ვარსკვლავი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს და მეორე კლასის ვარსკვლავი კოსმონავტ მფრინავს ი. ა. გაგარინს.

დარბაზობამ დიდი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა დოქტორ სუკარნოს

9 ივნისს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს დოქტორ სუკარნოს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს განხილულ იქნა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი და საერთო საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც აინტერესებს როგორც საბჭოთა კავშირს, ისე ინდონეზიას.

სამახსოვრო გარათეგის შესახებ,

რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის ვენაში შეხვედრის დროს გადასცა სამახსოვრო ბარათები ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და გერმანიასთან სახვო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის პრობლემის მოწესრიგების საკითხზე. ამასთან უცხოეთის პრესის მთელ რიგ გამოსვლებში ამ დოკუმენტებს არაზუსტად უკეთებენ კომენტარს, ზოგიეთო შემთხვევაში კიდეეაც ამახინჯებენ.

საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და იმისათვის, რომ საბოგადოებრიობას ჰქონდეს ნამდვილი წარმოდგენა სამახსოვრო ბარათების შინაარსზე, მიზანშეწონილად მიიჩნია გამოქვეყნოს მათი ტექსტი მთლიანად.

სამახსოვრო ბარათში ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რათა რაც შეიძლება მალე შეათანხმოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. საბჭოთა კავშირი ესწრაფვის ყველგან და ყოველთვის შეწყდეს ატომური იარაღის ყველა სახის გამოცდა.

სამახსოვრო ბარათში ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის პოზიცია დღემდე გადაუჭრელ ძირითად საკითხებზე. ესენია მორატორიუმის, კონტროლის საკითხი და ინსპექციათა კვოტის ოდენობის საკითხი.

ამავე დროს სამახსოვრო ბარათში წამოყენებულია წინადადება დაიწყონ მთავარი, კარდინალური საკითხით — საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხით. ბარათში კვლავ დადასტურებულია, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მიიღოს დასავლეთის სახელმწიფოთა ყოველგვარი წინადადება კონტროლის შესახებ, თუ კი ისინი მიიღებენ სსრ კავშირის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. როცა ყველა სახელმწიფო განიარაღდება და აღარ ექნებათ სხვა ქვეყნებზე თავდასხმის

სოფლის „არისტოკრატები“

ფელეტონის მაგიერ

საღამოთაი იყო. კანტორაში დაძაბული შრომის შემდეგ მინდვრებიდან დაბრუნებულ კოლმეურნეებს მოეყარათ თავი; ზოგს პირადი საქმე აქვს მოსაგვარებელი ბუხჰალტერიაში, ზოგი მორიგე ფლის დავალების იღებს. მათ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაკლი ტეხოვი ესაუბრება.

იასონი იქვე გვერდით, პარტორგანიზაციის მდივნის მაგიდასთან ჩამოჯდა.

— მობრძანდა ვაჟბატონი, სოფლის „სინდისი“, — ჩურჩულებდნენ ქსუისელი კოლმეურნეები იასონ ალბოროვის შესახებ.

მდივანმა არჩილ ვალიევმა ოქმები დახურა, უჯრაში ჩადო და ბოლოს იასონს მიმართა:

—თვეობით სად იმყოფები, იასონ? ვის რა უთხარი, როცა რუსეთში ვაშლი მიგქონდა გასაყიდად? რამდენი კრება გაიცდინე? რა იქნა დავალება?... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რატომ არ იხდი საწევრო ანარიცხებს?

ამ სიტყვებზე კოლმეურნეებმა გულისწყრომითი შეხედეს იასონს, ის კი ერთი თითქოს შეიშმუშნა, მაგრამ კვლავ ქედმაღლობამ დასძლია და ომახიანად წამოიწყო:

— მე არაფისთვის არაფერი დამიშავებია. ჩემი ვაშლი წავიღე გასაყიდად. რა მოხდა, ვისი რა საქმეა!

ვინ არის იასონ ალბოროვი? მან სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სამი კურსი დაამთავრა. მუშაობდა მშობლიური სოფლის ქსუისის საშუალო სკოლის მასწავლებლად. 1954 წელს იასონმა დაუკითხავად მიატოვა სამუშაო და რუსეთში ვაშლი წაიღო გასაყიდად. მაშინ იგი პარტიის რიგებიდან გარიცხვას გადარჩა, მხოლოდ სასტიკი საყვედური მიიღო.

გავიდა დრო. იასონმა საჭირო დასკვნა ვერ გააკეთა ამ ფაქტიდან. პირიქით, ვაშლის გაყიდვით მიღებულმა ფულმა სხვა გზაზე დააყენა იასონი. მან ობილი, სარფიანი ადგილის ძებნა დაიწყო. მალე იგი ქსუისის ხილის დამამზადებელი პუნქტის გამგე გახდა, „პობედაც“ შეაგორა ეზოში.

1960 წელს ალბოროვი ხილის პუნქტის გამგეობიდან გაათავისუფლეს. მას წარბიც არ შეუხრია. რამდენიმე თვეს ეაჭრობდა იგი ვაშლით რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. ახლა კი მოლონიერებული დაბრუნდა და პარტიის საწევრო ანარიცხს გადახდა მოაგონდა. ძნელია იმის თქმა, თუ რით დამთავრდება იასონის საქმე. ჯერჯერობით კი მას ცა ქუდად არ მიაჩნია დედამიწა ქალამანად.

არის ასეთივე ტიპისა და ხასიათის კიდევ სხვა კაცი ამავე სოფელში. ეს ლადო ტოლიაშვილი გახლავთ. იგი მუშაობდა კოლმეურნეობაში მოინგარიშედ, საწყობის გამგედ... თუმნი და ბარი ხელში არ სჭერია, ვერ დაიტრაბახებს უხვმოსავლიანი ბაღით, მაგრამ ხშირი სტუმარია რუსეთის ბაზრისა, სადაც კეხურა ვაშლი მიაქვს. ახლახან ისიც შორეული მგზავრობიდან დაბრუნდა და არხეინად გრძნობს თავს. ჯერჯერობით ლადოს საქმიანობით არავინ დაინტერესებული.

...ქსუისის მეზობლად პატარა სოფელი ხელჩუა მდებარეობს. ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ერთხანს ალექსი ვალიევი მუშაობდა. არ მოეწონა ფრთაგაშლილ თავმჯდომარეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობა და თავი გაითავისუფლა. ალექსს უმაღლესი განათლება აქვს. მას პარტიის რაიკომმა შესთავაზა მასწავლებლობა, კლუბის გამგეობა, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნობა... მაგრამ, ამაოდ. ალექსიმ წინადადებებს ყური არ უგდო. ბოლოს „ფილიალს“ გამგე გახდა. ლაპარაკია არჩევის ხილის მამღები პუნქტის ფილიალზე, რომელიც ალექსიმ თავის სოფელში, თავისი სახლის დაბლა სართულში გახსნა. ამჟამად ალექსიც სეზონს ელოდება.

სამაგიეროდ სეზონი როდი იხურება ბაგრატ სიუკაევისათვის, რომელიც ამავე, სტალინირის რაიონის სოფელ კიტრიულში ცხოვრობს. ბაგრატი მიტყვევის თანამდებობიდან მოხსნეს, მაგრამ ბუნების ამ სიმდიდრეს როგორ დაანებებს თავს! ბაგრატს ჰყავს საკუთარი გამწევი ძალა — ცხენები და კამეჩები. სახრეტუნა, ხარი მისი და — მეტი რა უნდა ბაგრატს. უმოწყალოდ ჩეხს ახალგაზრდა ხეებს და საკაბანო ტრანსპორტით შეშას გასაყიდად ეზიდება გორის რაიონის სოფლებში.

მერე კოლმეურნეობაში მუშაობა? მაგისი რა მოგახსენონთ. ის კი გეკითხეს, რომ ბაგრატისათვის კოლმეურნეობას სასიმინდე ნაკვეთი გამოუყვია დასამუშავებლად და მან დღემდე არც კი იცის, სად მდებარეობს ეს ნაკვეთი. ან რათ უნდა შრომა. იოლად ცხოვრება არ სჯობს!..

ახლა ამავე რაიონის სოფლებში ქურთასა და ანაბეთში შევიხედოთ. აქაც არიან „არისტოკრატები“, რომლებიც ქედმაღლობენ, „მხნედ“ გამოიყურებიან. დიდ „არისტოკრატებს“ შორის დავასახელებთ ქურთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს იოსებ კახნიაშვილს. იოსები შარშან გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან. რატომ? წლების განმავლობაში იოსები მიწის ნაკვეთების განაიერბა-გაყიდვის მიზნით ხელოვნურად ყოფდა საკოლმეურნეო ოჯახებს, რამდენი მამული განიავდა ხელაღებული თავმჯდომარის მეშვეობით!

წელწადი გადის და იოსები არ მუშაობს. იგი მაღალი თანამდებობის ძებნაშია. ფიზიკურ შრომას რრგორ იკადრებს!

რატომ არ ფიქრობს, ნუთუ დანაშაულისათვის მოხსნილ ადამიანებს აწინაურებენ?

ბოლოს არიან პატარა „არისტოკრატებიც“, რომლებიც მშობლების კალთის ქვეშ მოქცეულნი უსაქმურობაში ატარებენ დროს. აი აჩაბეთელი ელენე ბაბუციძე. მან საშუალო სკოლა დაამთავრა და უსაქმურად ზის სახლში. მისი მშობლები მასწავლებლები არიან, თავზე ხელს უსვამენ, ცივ ნიავს არ აკარებენ. სათაკილოდ მიაჩნიათ, რომ მათმა შვილმა ფიზიკურად იშრომოს. ასევე იქცევიან ამავე სოფლის მკვიდრნი ზაალ და მარო ხეთაგურები თავიანთი შვილის ზალმარის მიმართ. ზალმარს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ხელი არ გაუნძრევია.

კიდევ უფრო შორს მიდიან ერედველი ახალგაზრდის — ვიქტორ არსოევის მშობლები. ვიქტორი სამი წელია სასარგებლო შრომას არ ეწევა. დედ-მამა კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მათი შვილი ნებივრობდეს. ახლახან ვიქტორს „მოსკვიჩი“ უყიდეს. დაჭრის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვიქტორი სოფლიდან სოფელში, დედ-მამის ფული, საკუთარი მანქანა — აბა უკეთესი რა უნდა იყოს ვიქტორის ცხოვრებაში?

დრო არის თუ არა წესრიგისაკენ მოვუწოდოთ სოფლის „არისტოკრატებს“?

ი. თედიაშვილი.

ვაჟა-ფშაველა

გიორგი ლეონიძე

ლექსით მდიდარი,
ღარიბი ვაჟა,
თავისს ჩოხაზე უფრო ღარიბი,
მოზღვავებულა
რძიან ზვავების
ღვართქაფიანი ნიაღვარებით...

ვიცი,
არწივი კალამს აწვდიდა,
ვეფხვი — სიტყვას
და არაგვი — სიმებს
და მთანი,
მთანი, —
ცად რომ აწვდილან,
ცეცხლს,
მთაგონებას,
მომავლის იმედს!
როგორ იცოდა,
ჩაჩქნის პატრონმა
ღვია —
ფათალო —
ხევნარის ენა!
იქნებ ვაჟაის დედა ნატრობდა,
შვილს დაჰყოლოდა
ჩანჩქრების სმენა!

უკანასკნელ წამს, —
ჩვენც გვყავს ნანახი, —
რომ სიცოცხლის მზე
გადაერჩინა, —
შტოფურცელი და ქორფა
ბალახი,
გაყინულ ხელში ისევ ეპირა!

ალბად,
მით სიკვდილს იგერიებდა,
სასტიკ მეხს მუხა არ წაექცია...
ყველა ყვავილი მთაში გამლილი,
დაუწერელი
ვაჟას ლექსია!

ვიდრე ჩვენს ტყეში
შველი ბინადრობს,
მთაში ჯიხვი
და ცაში არწივი, —
იცოცხლებს ვაჟა!..
სხვა, ვინ ვინატროთ,
ვაჟასებური თავის განწირვით.

თუ ხმალი არი კაცით ნაკურთხი,
ისე ვაჟათი სიტყვა ქართული!
სუნთქავდა ლექსი არაგვის
სუნთქვით,
აქვს საქართველო
გულში ჩართული!



ბაგრა-სოფის გზატკეცილის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩასაცმელად თუ თაროზე დასაწყობად?

მაღაზიები თავისებური და უტყუარი ბარომეტრია, თუ როგორ იზრდება მშრომელთა მოთხოვნილება. ამავე დროს აქ ფასდება ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშებისა და მოსამსახურეების, მრავალრიცხოვანი კოლექტივების შრომის შედეგად მიღებული ნაწარმი. სწორედ აქ გამოჩნდება ხოლმე ის დეფექტები, რომლებსაც წარმოებაში ხშირად ვერ ამჩნევენ, აქ მეღავნდება ისიც, რომ საერთო მაჩვენებლების მიხედვით მოსახლეობის მოთხოვნილება თითქოს დაკმაყოფილებულია, მაღაზიები სავსეა საქონლით, მაგრამ მომხმარებელი დადის მაღაზიიდან მაღაზიაში, ეძებს მისთვის სასურველ საქონელს.

ავიღოთ, მაგალითად, ფეხსაცმელი. წლითიწლობით იზრდება მისი გამოშვება ფართოვდება ასორტიმენტი, ხმარებაში შემოდის ახალი მოდელები. წელს ჩვენს ქვეყანაში დამზადებული იქნება 450 მილიონზე მეტი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი. მრავლისმეტყველი ციფრია. მით უფრო საამაყოა ჩვენთვის, რომ ამ ციფრში დიდია საქართველოს მშრომელთა წვლილი. რესპუბლიკის ფეხსაცმლის მრეწველობა როდესმრივად არათუ აკმაყოფილებს საქართველოს მშრომელთა მოთხოვნილებას, არამედ ამარაგებს სხვა რესპუბლიკებსაც.

დიახ, ფეხსაცმელი რესპუბლიკაში ბევრია. ერთი შეხედვით საჭიროზე მეტიც... ამ შთაბეჭდილებას ქმნის ის, რომ ყოველთვიურად იზრდება ნაშთის რაოდენობა ბაზებსა და საწყობებში.

მაგრამ მომხმარებელი ფეხსაცმელს მაინც ეძებს.

ვინ ყაფის?

ამ კითხვით მივმართეთ უნივერმაღის პირველი ფილიალის დირექტორს ვ. გარსევანიძეს და ფეხსაცმლის სექციონერს მ. კრიხელს.

— რა მოგახსენოთ, — გვიპასუხეს. — მომხმარებელი ძირითადად უცხოურს მოითხოვს, ჩვენი პროდუქცია კი ნაკლებად გადის.

— რატომ?

მაღაზიის მუშაკებს რატომღაც ერიდებოდათ ეთქვათ ნამდვილი მიზეზი, მაგრამ ბოლოს პირდაპირ გვიპასუხეს: საქმე მომხმარებლის ჭირვეულობა კი არ არის, ჩვენი ფეხსაცმელი არ იყიდება იმიტომ, რომ უხარისხოა.

ჩვენს წინ არის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის (დირექტორი დ. თომაძე, მთავარი ინჟინერი ა. რობაქიძე) 8080 არტიკულის საბავშვო ფეხსაცმელი. სხვა დეფექტებს რომ თავი დავანებოთ, ერთი ცალი მეორეზე გრძელია დაახლოებით ერთი სანტიმეტრით.

აი მეორე წყვილიც: მარცხენა ფეხსაცმელი იკერება მარცხნივ, ე. ი. გარედან, მარჯვენა ფეხსაცმელსაც შესაკერავი მარცხნივ აქვს გაკეთებული. საინტერესოა, რას უყურებდა შემკერავი და, ბოლოს, წუნმდებელი, როდესაც მომხმარებლისათვის უვარგისი ფეხსაცმელი მაღაზიაში გაუშვეს.

აქვე ვნახეთ პირველი ფაბრიკის მიერ გამოშვებული ჩვილი ბავშვების ფაფუჩები. არა გვგონია, რომ თვით ფაბრიკის რომელიმე მუშაკმა თავის ბავშვს ჩააცვას ეს ფაფუჩი, იმდენად მაგარი და მოუხეშავია იგი. გასაყიდად კი გამოუშვეს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ალბათ გეგმაში ჰქონდათ, მეორეც — ნარჩენები ხომ უნდა გამოიყენენინანათ?

თითქმის ყველანაირ, ყველა მაღაზიაში დაიწუნეს სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის (დირექტორი ა. ღვინჭილია, მთ. ინჟინერი ვ. ნადირაშვილი) სანდალეტები. თავი რომ დავანებოთ სხვა ათასგვარ ნაკლს, მარტო შესახედაობაც საკმარისია, რომ მომხმარებელმა უარი თქვას ამ სანდალეტებზე.

უკვე ორი წელია აწყვია მერვე მაღაზიის თაროებზე პირველი ფაბრიკის მიერ გამოშვებული გ — 6802 არტიკულის მამაკაცის შავი ფეხსაცმელი. როგორც ცნობილია, შავ ფეხსაცმელზე საერთოდ დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ ეს არტიკული მაინც არ იყიდება. რატომ? იმიტომ, რომ უხეშად არის შეკერილი, მძიმეა.

ასევე დამტვერიანებული აწყვია თაროებზე და საწყობებში 8504-სწ არტიკულის მამაკაცის, 8344, 8444 არტიკულის ქალის ფეხსაცმლები და მრავალი სხვა.

არავინ იფიქროს თითქოს ჩვენი საწარმოების პროდუქცია მთლიანად უხარისხო იყოს, არ იყიდებოდეს. ზოგიერთი ფეხსაცმელი კარგად საღდება, ზოგ მათგანზე კი ისეთი მოთხოვნილებაა, რომ არც იშოვნება. მაგალითად, ახალგაზრდები ეძებდნენ პირველი ფაბრიკის საზაფხულო კაცის ფეხსაცმელს, რომელიც 16 მანეთი ღირს, მაგრამ მას მაღაზიებში ვერ შოულობდნენ. საქმე ის არის, რომ ფაბრიკამ ეს ფეხსაცმელი საიუბილეოდ გამოუშვა, თითო მაღაზიას სულ რამდენიმე ათეული წყვილი ერგო, უცებ გაიყიდა და ამით ყველაფერი დამთავრდა.

ფეხსაცმელი საიუბილეოდ! ნამდვილად საკვირველია, მაგრამ ფაქტია. რა შუაშია იუბილე, როდესაც მშრომელები ასეთ ფეხსაცმელს მოითხოვენ.

ჯერჯერობით თითქმის სულ ახალგაზრდობის მოთხოვნებზე ვლაპარაკობდით. ვინმემ შეიძლება იფიქროს, ჩვენი ბავშვების, ჭაბუკებისა და ქალაშვილების პირვეულობას ამყოლიანო. სრულიადაც არა. რამდენიც უნდა იაროთ, ვერსად ვერ ნახავთ ხანშიშესული ქალის შესაფერ შავ, დაბალქუსლიან ფეხსაცმელს.

დავუშვათ ბედმა გაგიღიმათ, იშოვნეთ ის, რასაც ეძებდით. არ გეგონოთ, რომ საქმე ამით დამთავრდა. ხშირად ხდება, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ფეხსაცმელს ან ლანჩა აძვრება, ან ქუსლი მოტყდება. ამის შემდეგ იწყება ნამდვილი ტანჯვა. ასეთ ფეხსაცმელს უცბად არავინ გამოგიცვლათ. იწერება აქტები, მუშაობენ ექსპერტები, ბჭობენ ბაზებისა და ფაბრიკების მუშაკები, და შემდეგ შეიძლება ეღირსოს დაწუნებულ ფეხსაცმელს გამოცვლა.

ასეთი შემთხვევები რომ ერთი და ორი იყოს, ლაპარაკადაც რა ღირდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე ძალიან ხშირად ხდება მარტო პირველმა მაღაზიამ ოთხი თვის განმავლობაში დეფექტების გამო დაიბრუნა 34 წყვილი ფეხსაცმელი (ეს რაც აღრიცხულია). მათგან პირველ ფაბრიკას ეკუთვნოდა 19, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკას 9, დანარჩენები უფრო წვრილი საწარმოებისა არის.

გასულ წელს პირველ ფაბრიკას (დირექტორი გ. მღებრიშვილი, მთავარი ინჟინერი ნ. კლნჭიანი) უხარისხობის გამო უკან დაუბრუნეს და მეორე ხარისხში გადაიყვანეს 215 ათას წყვილზე მეტი ფეხსაცმელი. ფაბრიკამ გადაიხადა 1.133 ათასი მანეთი ჯარიმა (ძველი ფულით).

მიმდინარე წელს დაწუნებული ფეხსაცმლის რაოდენობამ უკვე მიაღწია 55 ათასს, გადახდილია ჯარიმა 58 ათასი მანეთის რაოდენობით (ახალი ფულით).

გვგონია, ნათელია თუ ვინ ტყუის. საქმე მომხმარებლის პირვეულობა კი არ არის, არამედ ის, რომ ფეხსაცმელი არ ვარგა, უხარისხოა. ამისათვის კი პასუხი მწარმოებლებს უნდა მოვთხოვოთ.

გეგმა კანონია!

ეს უკვე დიდი ხანია ცნობილია და არავის ეჭვი არ ეპარება, მისი შესრულებისათვის თავდადებით იბრძვიან საწარმოთა კოლექტივები.

მაგრამ გეგმაც არის და გეგმაც. საჭიროა დაგეგმვის დროს გავითვალისწინოთ მომხმარებელთა მოთხოვნილება. როგორც ცხოვრება გვასწავლის, არ შეიძლება დაიგეგმოს ფეხსაცმლის წარმოება იმავე პოზიციებიდან, როგორც იგეგმება ფოლადის გამოდნობა ან ელექტროენერგიის გამოშვება. დიდი ხნისათვის დაგეგმილი ფეხსაცმლის ასორტიმენტი ვერ უძლებს გამოცდას, მომხმარებელს თავისი შესწორებები შეაქვს ამ გეგმაში. ამიტომ საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ რაც შეიძლება სწრაფად ხდებოდეს ახალი მოდელების ათვისება.

ჩვენი ფაბრიკების მუშაობა კი სულ სხვას გვიჩვენებს...

ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის ერთ-ერთ საამქროში ნელა მოძრაობს ფეხსაცმლით დატვირთული კონვეიერი. ვიღებთ ერთ მათგანს — რეზინის სქელ საძირიან მამაკაცის დახურულ ფეხსაცმელს.

— ახლა ხომ ამის სეზონი არ არის, რატომ უშვებთ? — ვეკითხებით მთავარი ინჟინერის მოადგილეს ა. სიდოროვს.

— გეგმაში გვიზის, აბა რა ვქნათ.

იქვე, მეორე კონვეიერზე იკერება ფეხსაცმელი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა უძრავად აწყვია მაღაზიების თაროებზე. მაგრამ ესეც გეგმაში უზია.

— გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ ვმუშაობთ საწყობებისათვის და არა მომხმარებლისათვის, — გვეუბნება მთავარი ინჟინერი კლნჭიანი, — მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს რაიმე შეცვალოთ გეგმაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უცნაური გეგმაც კი არ მოდის ფაბრიკაში თავის დროზე, მაგალითად, პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 22 იანვარს მიიღეს. მესამე კვარტალსა ჯერაც არ არის მოსული. როდის უნდა მოემზადოს საწარმოო ამ გეგმის შესრულებისათვის?

სავაჭრო ორგანიზაციების წყალობით ეს გეგმა კიდევ უფრო ძნელად შესასრულებელი ხდება. თუ გადახედავთ ასორტიმენტს, დაინახავთ, რომ ფაბრიკას ხშირად უხდება შესასრულოს დაკვეთები 100.200 წყვილ ფეხსაცმელზე. ასეთი დიდი წარმოებისათვის კი ეს მეტად ძნელი საქმეა. ასი წყვილი ფეხსაცმლისათვის საჭიროა კონვეიერის გაჩერება, მიბრძოლონ ტყავის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამ საწარმოოა მუშაკები ხშირად უსაფუძვლო კინკლაობას უნდებიან. მაგალითად, ბათუმის ქარხნის წარმომადგენელმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების მოუცემლად უარი თქვა ხელი მოეწერა ზემოხსენებული აქტისათვის, დაუჯერებელია, მაგრამ ისეც ხდება, რომ ტყავის დაბრუნების შემდეგ ტყავის ქარხნები უგვიანებენ ნედლეულის მიცემას ფეხსაცმლის ფაბრიკებს, ისეთ მდგომარეობაში აყენებენ მათ, რომ მეფეხსაცმლეები იძულებული არიან სათანადოდ აღარ შეამოწმონ ნედლეული, იმუშაონ იმ ტყავზე, რასაც იღებენ.

აი უთაური მუშობის კიდევ ერთი მაგალითი. მეორე ფაბრიკაში კიდევ ერთი ნაკადი. ამ ნაკადზე ბევრი ბანია დაამზადეს 22-30 ნოემბრის თეორი სანდალეტები, რასაც მომხმარებელი დაეძებს. მაგრამ 2.500 წყვილი ასეთი ფეხსაცმელი ჯერ კიდევ საწყობებშია. ვერ იქნა და ვერ დადგინდა ამ ფეხსაცმლის გასაყიდი ფასი. განა ეს გეგმიანი მუშაობაა?

დროა ბოლო მოეღოს „გეგმიან“ უთავბოლობას, გეგმა გადაიქცეს ნამდვილ კანონად, რომელიც შედგება არა კაბინეტებში, არამედ ფართო მასების მოთხოვნილების საფუძველზე.

სტანდარტების ტყვეობაში

კარგი ფეხსაცმლის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას, სიმსუბუქე წარმოადგენს.

ცოტა ხნის წინ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის კატალოგებს. მასალის, მოდელის აღწერილობასთან ერთად აქ ნაჩვენებია ფეხსაცმლის წონაც.

—რამდენს უნდა იწონიდეს ფეხსაცმელი? — ამ კითხვაზე ფეხსაცმლის ფაბრიკებში მხოლოდ ის გვიპასუხეს, რომ სტანდარტებში არ არის მითითებული.

ხელთა გვაქვს პირველი ფაბრიკის ფეხსაცმლის რამდენიმე ნიმუში. აი, მაგალითად, 4224-ცლ არტიკულის 13-14 წლის ბიჭის ფეხსაცმელი. სასწორმა გვიჩვენა, რომ ერთი წყვილი იწონის 820 გრამს, კიდევ უფრო მძიმე, 960 გრამი გამოდგა 4222/23-ცნ არტიკულის 12-13 წლის ბავშვის ფეხსაცმელი. ესეც პირველი ფაბრიკის ნაწარმია.

გვგონია დაგვეთანხმებიან მეფეხსაცმელეები, რომ ასეთი წონის ფეხსაცმელი პატარებს კი არა, მოზრდილებსაც შეაწუხებდა.

— ამის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო სტანდარტებია, — გვითხრა ფეხსაცმლის მე-2 ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ა. რობაქიძემ. — ამ სტანდარტებით განსაზღვრულია ყოველი დეტალის — ლაბაშის, საძირე ტყავის და სხვ. სისქე და ზომა, სტანდარტს დარღვევა მძიმე დანაშაულად ითვლება. ჩვენც ყკერავთ ისე, როგორც გვეუბნებიან.

სტანდარტები კი დამტკიცებულია ათი წლის წინათ. ამაზე უნდა თქვან მგეგმავმა ორგანიზაციებმა და ფეხსაცმლის სპეციალისტებმა — ცხოვრებას ფეხდაფეხ მიყვებითო?!

ავიღოთ სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის (დირექტორი გ. არუთინოვი, მთავარი ინჟინერი გ. კერვალიძე) პროდუქცია. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამ ფაბრიკას სახელს შევუცვლიდით. მისთვის ზედგამოჭრილია „მოძველებული მოდელების ფაბრიკის“ სახელწოდება.

ფაბრიკას ჰყავს მაღალკვალიფიციური მუშახელი, ამარაგებენ გაცილებით უკეთესი ხარისხის ნედლეულით, ვიდრე სხვა საწარმოებს, ფეხსაცმელი კი იკერება ისეთივე მოდელებისა, როგორც ამ 15-20 წლის წინ.

საქმე ის არის, რომ ახალი მოდელის შექმნისა და დამტკიცების წესი ძალიან ამუხრუჭებს წარმოების გარდაქმნას ახალი მოთხოვნილების მიხედვით. ფეხსაცმელის ახალი წყვილის დაბადებას ხმა უნდა მისცეს სამხატვრო საბჭომ, ვაჭრობის სამინისტრომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების ბიურომ. ხოლო თუ ფაბრიკა გამოიყენებს ახალი ფორმის კალაპოტს ან ქუსლს, მას გზა უნდა დაულოცოს სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ამიტომ ხდება, რომ ახალ მოდელზე გადასვლას სულ ცოტა ნახევარი წელი მაინც უნდა. და როცა მოდელს დამტკიცება ეღირსება, მოძმე რესპუბლიკებიდან მოდის უკეთესი მოდელით შეკერილი ფეხსაცმელი. ცხადია, ამ მოძველებული მოდელით შეკერილი ფეხსაცმელი უკვე აღარავის უნდა, ფაბრიკები კი იძულებული არიან ფეხსაცმელი კერონ ამ მოძველებული მოდელის მიხედვით.

გამოდის, რომ ადამიანები კი არ ქმნიან სტანდარტებს, არამედ, პირიქით, სტანდარტები მართავენ მათ.

მომხმარებელს კი უნდა არა მოძველებული სტანდარტები, არამედ თანამედროვე ლამაზი, მოხდენილი, მსუბუქი და საეკსპლოატაციოდ მოსახერხებელი ფეხსაცმელი.

ზოგიერთი შენიშვნა

ერთ დროს საქართველო ცნობილი იყო ლაზათიანი, კოხტა ფეხსაცმლით, რამდენიმე წლის წინ ქართველი ოსტატის შეკერილმა ფეხსაცმელმა ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა ინგლისში.

დაავიწყდათ ჩვენს ოსტატებს ფეხსაცმლის კერვა?

არა, არ დავიწყებიათ.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს რესპუბლიკური ბაზრობა, რომელიც იანვრის ბოლოს შედგა მოდელების სახლში. აქ წარმოდგენილმა ფეხსაცმელმა მნახველთა საერთო აღტაცება გამოიწვია.

—ასეთი ფეხსაცმელი, რომ მოგვცენ, უცხოური ფეხსაცმელი აღარ გაიყიდებოო, — თითქმის ერთხმად აცხადებენ მნახველებიც და ვაჭრობის მუშაკებიც.

ამ მოდელების დიდი ნაწილი შემდეგ გადაეცა წარმოებას. მაგრამ მასობრივად შეკერილი ფეხსაცმელი არაფერით არა ჰგავს თავის წინამორბედს.

მოხმარებელსა და წარმოებას შორის ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ბარიერი, მაგალითად, როგორც ვაჭრობის მუშაკები, ისე თვით მწარმოებლები ზედმეტად თვლიან ეგრეთწოდებულ გასატან ბაზას, რომელიც არსებობს პირველ ფაბრიკასთან, მის მოვალეობას შეადგენს მიიღოს საქონელი ფაბრიკიდან და გადასცეს ხავაჭრო ორგანიზაციას. უკეთესი არ იქნებოდა, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს უშუალო კავშირი ჰქონდეთ თვით ფაბრიკასთან, მით უმეტეს, რომ დაწუნებული საქონლისათვის პასუხისმგებელი ფაბრიკა.

არის კიდევ ერთი საკითხი. ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე მუშაობს „განსაკუთრებით მოხდენილი ფეხსაცმლის ატელიე“. უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული აქ არაფერია, გარდა ფასებისა.

შეკითხვაზე — სჯობს თუ არა ატელიეში შეკერილი ფეხსაცმელი უცხოურ, მაგალითად გერმანულ მასობრივ საქონელსო, ატელიეს დირექტორმა ნ. ცხადაძემ გვიპასუხა:

— არა, ნამდვილად არა სჯობს.

რაღა გასაკვირველია, თუ მომხმარებელი ეძებს შემოტანილ ფეხსაცმელს, რომელიც გაცილებით ლამაზია და 20-30 მანეთით იაფია, ვიდრე სპეციალურად შეკერილი!

ატელიეს შექმნა ცუდი საქმე როდია, საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიექცეს მას, რათა ნამდვილად გაამართლოს თავისი სახელი.

ატელიეს გამოყენება შეიძლება აგრეთვე როგორც ექსპერიმენტული ბაზისა მასობრივი წარმოებისათვის. საჭიროელოში ჯერ კიდევ არ არსებობს საწარმო, რომელიც კალაპოტებით, ქუსლებით და სხვა ამგვარი დამხმარე მასალებით ამარაგებდეს ფეხსაცმლის წარმოებებს. გვგონია, რომ იქ, სადაც ელმავლებსა და ავტომანქანებს აკეთებენ, არ გაუჭირდებოდათ ხის კალაპოტების დამზადებაც. საჭიროა შეიქმნას სათანადო საწარმო, რომელმაც შეიძლება გამოიყენოს სწორედ ამ ატელიეში შექმნილი და გამოყენებული ძალზე კარგი, თანამედროვე კალაპოტები.

კიდევ ერთი შენიშვნა. ჩვენს მრეწველობაში ჯერ კიდევ არსებობს ფეხსაცმლის დაყოფა პირველ და მეორე ხარისხად. ერთისა და იმავე მოდელის ერთნაირი მასალით შეკერილი ფეხსაცმელი შეიძლება იყოს როგორც პირველი, ისე მეორე ხარისხისა. რატომ? თუ ფეხსაცმელს მნიშვნელოვანი დეფექტი აქვს, იგი უვარგისია, თუ არა, მაშინ რა საჭიროა მისი დახარისხება. ეს მხოლოდ ზრდის ხაკონტროლო აპარატს, ბნელ საქმიანობაში ხელს უწყობს ვაჭრობის ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ მუშაკს.

* * *

ფეხსაცმლის მრეწველობის, ვაჭრობის მუშაკების ვალია მოკლე დროში გარდაქმნან მუშაობა, გააუქმონ ბევრი ზედმეტი ბარიერი. მხოლოდ პრინციპული ხასიათის ცვლილებები მისცემს შესაძლებლობას ფეხსაცმლის საწარმოებს გარდაქმნან მუშაობა ამ მოთხოვნების მიხედვით, რომლებსაც მათ საბჭოთა ადამიანები უყენებენ.

ზ. ჯამასპიშვილი.
შ. ციბერკიძე.
ო. არობელიძე.

ბურთ ლიად საბჭოთაში

ხელოვნური სისხლის მიმოქცევა

სიახლე სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კლინიკაში

ლენინგრადი, 9 ივნისი. (საკდესი). გულის ორმოცდაათზე მეტი ოპერაცია კარგად დამთავრდა ს. მ. კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კლინიკაში. ამასთან უნაკლოდ მუშაობდა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი, რომელიც შექმნეს ამ აკადემიის თანამშრომლებმა მედიცინის სამსახურის მაიორის ფ. ვ. ბალიუნეკის ხელმძღვანელობით.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა პ. ა. კუპრიანოვმა, რომლის კლინიკაში განხორციელდა ეს ურთულესი ოპერაციები, საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ხელოვნური სისხლის მიმოქცევის ახალი აპარატურა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ გულისა და ფილტვების ყველა ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ფუნქცია ეგრეთწოდებული „მშრალი“ გულის ოპერაციის დროს. ამ აპარატურაზე აღმოფხვრილია „გულ-ფილტვების“ წინა მოდელების არსებითი ნაკლოვანებანი. მთავარი მილწევა ის არის, რომ აპარატი უნაკლოდ წმენდს სისხლს მასში გაუხსნელი ჰაერისაგან, რომლის ბუშტების უმნიშვნელო რაოდენობასაც კი შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი. შესაძლებელი გახდა არაერთგზის გამოვიყენოთ დონორთა სისხლი, რადგან მას ახლა არ მოდის ტრავმა მუშობის დროს. აპარატი მარტივია, მოხერხებულია საექსპლოატაციოდ, ადვილად ხდება მისი სტერილიზაცია.

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის ერთ-ერთი საცდელი ნიმუში, რომელიც ჩვენს აკადემიაში შეიქმნა, გადაეცა ლენინგრადის ქარხანა „კრასნოგვარდეეცს“ სადაც განზრახულია მისი სერიული გამოშვება.

ცხრა იატაკქვეშეთელი გმირი

რიგა, 9 ივნისი. (საკდესი). ორმოცი წლის წინათ, 1921 წლის 10 ივნისს ღამით, რიგის ცენტრალური საპყრობილის კედლთან სიკვდილით დასაჯეს ცხრა იატაკქვეშეთელი კომუნისტი, რომლებიც ბურჟუაზიულ საიდუმლო პოლიციას ჩაუვარდა ხელში: ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იანის შილფს-იაუნბერგსი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, თვალსაჩინო რევოლუციონერი მწერალი აუგუსტ არაის ბერცი და მათი მებრძოლი ამხანაგები პეტერ ალკსნისი, ფრიცის ბერგ

მოვიგოთ ბრძოლა მშვიდობისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივნის განცხადება

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). „უორკერი" სათაურით „ვენის მოლაპარაკება ცხადყოფს, რომ მშვიდობა შეიძლება მოვიგოთ" აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჰეს ჰოლის განცხადებას, რომელიც მიძღვნილია ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის შეხვედრისადმი.

ჩვენთვის, ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისათვის, ნათქვამია განცხადებაში, ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ შეუცდომლად უნდა ცხადყოს ის, რომ ჩვენი ქვეყნისათვის გაიხსნა სხვა გზა. არ არის საჭირო, რომ ჩვენ განვახორციელოთ დიდად საზიანო კურსი — დაძაბულობის გაძლიერების, ომისა და აგრესიის ზღვარზე ბალანსირობის კურსი, რომელიც გვიჩვენეს მონოპოლიებმა — „მსხვილი მრეწველობისა და მხედრიონის" დამღუპავმა კოალიციამ.

ვენას გამგზავრების წინ, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, პრეზიდენტმა კენედიმ თქვა, რომ მსოფლიოში ახლა ძალთა ახალი თანაფარდობა შეიქმნა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი როდია საკმარისი. საჭიროა რეალისტური პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად დაედება ამის შეგნება. საჭიროა ახალი ინსტრუქციები მივცეთ ჩვენს წარმომადგენლებს ლაპარაკის შესახებ თათბირზე და გადავსინჯოთ ჩვენი პოლიტიკა ბერლინისა და კიოხის შესახებ, რათა გავითვალისწინოთ ეს ახალი ურთიერთობა.

თუ კენედისა და ხრუშჩოვის შეხვედრამ ხელი შეუწყო იმას, რომ გახსნილიყო გზა ამ ძირითადი და სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ეს დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა.

საჭიროა ღია ვიქონიოთ ეს გზა, და ჩვენი ქვეყანა ამ გზას უნდა გაჰყვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალები ყოველთვის ფხიზელნი და აქტიურნი უნდა იყვნენ. უნდა დავიცვათ დემოკრატია იმისაგან, რომ ის ხელჰყონ ცივი ომის მომხრეებმა. ამოცანა ის კი არ არის, რომ მოვიგოთ ცივი ომი, რომელსაც მივყავართ აგრესიულობის გაძლიერებისაკენ, დაძაბულობის გამწვავებისა და ომის გაჩაღების საფრთხისაკენ. თვით ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი კაცობრიობის არსებობა და უშიშროება მოითხოვს, რომ მოვიგოთ ბრძოლა მშვიდობისათვის — სოციალისტურ სამყაროსთან მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, სხვა ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკისათვის ატომური და საყოველთაო განიარაღებისათვის.



ᲙᲣᲑᲘᲡ რესპუბლიკაში წლევანდელი წელი გამოცხადებულია „ბანანის წლად". სიერა-მაესტრას მთებში კურსებზე სპეციალურ მომზადებას გადიან კუბელი მოხალისე ქალიშვილები და ჰაბუკები. მათ მასწავლებლის სპეციალური წოდება ენიჭებათ. ამას წინათ გაიმართა მასწავლებელთა ჭორიგი ჯგუფისათვის დიპლომების საზეიმო გადაცემა.

სურათზე: პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო დიპლომებს [illegible] ლებლებს.

„პრეზიდენტის ანგარიშგება"

ᲣᲝᲚᲢᲔᲠ ᲚᲘᲞᲛᲐᲜᲘ
ჯ. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). სათაურით „პრეზიდენტის ანგარიშგება" გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" გამოქვეყნდა უოლტერ ლიპმანის სტატია, მიძღვნილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედის რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისადმი 7 ივნისს. ლიპმანი აუარადღებას აპყრობს პრეზიდენტის სიტყვებს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი და იგი „ვენას ჩავიდნენ, რადგან შეიგნეს, რომ თითოეულ ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა აქვს კოლოსალური ზიანი მიაყენოს მეორეს, რომ საჭიროა ასეთი ომი თავიდან ავიცილოთ, თუ ასეთი ომი საერთოდ შესაძლებელია, რამდენადაც იგი ვერ გადაჯრის რაიმე დავას და ვერ დაამტკიცებს ვერავის დოქტრინას". ეს, აღნიშნავს ავტორი, „ძალიან დიდმნიშვნელოვანი ჭეშმარიტებაა, რომელიც ემყარება იმ ფაქტს, რომ არც ერთს ამ ორ ადამიანთაგან, რომელნიც ერთმანეთს შეხვდნენ ვენაში, არ შეუძლია „უკარნახოს გადაწყვეტა", „თავის რჯულზე მოაქციოს მეორე" ან „დათმოს თავისი ძირითადი ინტერესები".

პრეზიდენტმა, განაგრძობს მიმმხილველი, სავსებით ნათლად დაინახა, რომ ყველაზე გადამწყვეტი საკითხი არის გერმანიის პრობლემა და ბერლინის საკითხი, „სწორედ აქ,—ნათქვამია სტატიაში,—იმალება გარდაუვალი ომის მთავარი საფრთხე, და სახელმწიფო მოღვაწეთა მოვალეობა ამოცანა ის არის, რომ შეიმუშაონ ამ პრობლემის მისაღები და საპატიო გადაწყვეტა. ეს ძნელი და საშიში ამოცანაა, და იგი მოითხოვს მორალურ, ინტელექტუალურ და პოლიტიკურ სიმამაცესა და დიდ სიმტკიცეს. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ მისი შესრულება პარადოქსებდეს. ფაქტიურად ამქამად ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ დიპლომატიურ მოლაპარაკებას, რომელსაც ბევრი დრო დასჭირდება და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვაშინგტონი, მოსკოვი, ლონდონი, პარიზი და ბონი".

„მე მგონია, — აღნიშნავს ლიპმანი შემდეგ,—რომ პრეზიდენტის გამოსვლა რადიოთი სავსებით ნათელია, რომ ხრუშჩოვს არ წაუყენებია რაიმე ულტიმატუმი ბერლინის საკითხის გადაჭრის დროისა და ხასიათის შესახებ. და რომ კენედის, თავის მხრივ, აგრეთვე არ წაუყენებია რაიმე ულტიმატუმი იმის შესახებ, რომ ბერლინის სტატუსისა და მომავლის საკითხი არ შეიძლება იყოს განხილვის საგანი. ბერლინის საკითხი განხილულ იქნება. ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დასავლეთის სამყაროს დემოკრატიულმა ხალხებმა დაიწყონ დამღუპველი ომი ბერლინის საკითხის განხილვაზე უარისთქმის უფლებისათვის. „ბ-ნმა ხრუშჩოვმა,— განაცხადა პრეზიდენტმა, — დაწვრილებით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი, და ეს შეხედულებები მომავალი მოლაპარაკების თემა იქნება.

განსახილველი არ არის მხოლოდ ბერლინის 2,5 მილიონიანი მოსახლეობის უფლება „განსაზღვროს თავისი ბედი", დაიცვას თავისი თვითმმართველობა, თავისი რეალური ურთიერთობა არაკომუნისტურ მსოფლიოსთან. შეიძლება და კიდევაც უნდა განიხილონ ის საკითხი, თუ როგორ შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ გაიცეს ამ ძირითად უფლებათა შენარჩუნების უფრო საიმედო გარანტიები".

ბევრი დარწმუნებულია, — აცხადებს დასასრულ მიმომხილველი,—რომ ყოველი მოლაპარაკება, ყოველი მზადყოფნა — აწარმოონ მოლაპარაკება მიჩნეულ იქნება ბერლინზე უარისთქმად. არიან სხვებიც, რომლებსაც მე ვეკუთვნი, ვისაც მიაჩნია, რომ ბერლინის არსებული გარანტიები სუსტი და არასამეფოა, რამდენადაც ეს გარანტიები დამოკიდებულია დასავლეთის სახელმწიფოთა მზადყოფნაზე მიმართონ მსოფლიო ომით დამუქრებას, თუ ჩაერევიან დასავლეთ ბერლინის საქმეებში... ყოველგვარი მოლაპარაკება სახელთა კავშირთან ძნელი და მძიმეა. მაგრამ მოლაპარაკება; ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლაპარაკი გარანტიებზე ბერლინისათვის, გარდაუვალია, მე მიმაჩნია, ნაცვლად იმისა, რომ ვიმოქმედეთ ისე, თითქოს ყოველგვარი მოლაპარაკება დათმობა იყოს, ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ბონი და პარიზი ჩვენთან ერთად მოითხოვონ ახალი მკაფიო და უფრო მტკიცე გარანტიები ბერლინისათვის—გარანტიები, რომლებიც შეამსუბუქებენ ქრონიკული კრიზისის ახლანდელ მდგომარეობას".



ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XIX ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘ

ᲡᲘᲓᲜᲔᲘ, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ო. ანიჩკინი იუწყება: დღეს სიდნეიში გაიხსნა ავსტრალიის კომუნისტური პარტიის XIX ეროვნული ყრილობა.

ყრილობის დელეგატები აღშფოთებით შეხვდნენ იმ ცნობას, რომ ავსტრალიის ხელისუფლებმა უარი თქვეს შემოსაწვლელი ვიზები მისცეს მოძმე კომპარტიების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩეხეთის სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებს. ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ავსტრალიის ხელისუფალთა ანტიდემოკრატიულ მოქმედებას.

ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 9 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი ლ. ჯონსონი გამოვიდა იუნიატედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტის დირექტორთა და ამ გამომცემელთა კრებაზე, რომლებიც ამ საგენტოს ინფორმაციას იღებენ და არსებითად მოუწოდა შეერთებულ შტატებს ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეაჩერონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აზიაში, რომელსაც იგი ახასიათებს როგორც „კომუნიზმის შემოტევას".

მოწინავე ხაზი, თქვა მან, ახლა გადის ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ვიეტნამი, ტაილანდი და პაკისტანი, და ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ხაზი „გაწყდეს ან უკან გადასწიონ".

ლ. ჯონსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა განამტკიცონ ეს ქვეყნები არა მარტო იარაღის მიწოდებით, არამედ ამერიკის ეკონომიური დახმარების გაწევის გზითაც.

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲐᲛᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ"

ᲐᲜᲢᲣᲐᲜ ᲒᲘᲖᲔᲜᲒᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

სტენლივილი, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფიდიაშინი იუწყება კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ანტუან გიზენგამ 6 ივნისს მიღო საკდესისა და „იზვესტიის" კორესპონდენტები. გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც გიზენგამ გააანალიზა ამბები, რომელნიც კონგოს რესპუბლიკაში მოხდა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

„რესპუბლიკის დაბადების პირველი დღიდანვე,—განაცხადა გიზენგამ, —როცა ბელგიელი მმართველი წრეები მიხვდნენ, რომ კონგოს პირველი მთავრობა არ ამირებს განახორციელოს კონგოს ყოფილი ბატონების ხელსაყრელი პოლიტიკა, რომ კონგოს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი ქვეყნის ხალხები ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზით ატაროს, ეს წრეები მთელი საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც პარლამენტმა დანიშნა და რომელიც ბრწეულ იქნა მთელი კონგოელი ხალხის თავისუფალი ნება-სურვილის გამოვლინების შედეგად".

„იმისათვის, რომ ჩაეხშოთ ახალგაზრდა რესპუბლიკა, ეიძულებინათ მისი მთავრობა პატრის ლუმუმბის მეთაურობით გადაეხვია დასახული გზიდან და განეხორციელებინა ბელგიელი, ამერიკელი და სხვა იმპერიალისტებისათვის სასურველი პოლიტიკა—აღნიშნა გიზენგამ,—ამიტომაც ეს კოლონიზატორთა არსენალის ყველა საშუალება: მოსყიდვა, შანტაჟი, შეჭარა და, დასასრულ, ბელგიელი კოლონიზატორების აშკარა შეიარაღებული ჩარევა".

ბელგიელი დამსჯელების მიერ უმწეო მცხოვრებთა დახვრეტა ივლისის აგრესიის დღეებში, სამოტაკის აქციები და ბელგიელი და სხვა კოლონიზატორების ძარგამომთხრელი საქმიანობა, რომლის მიზანი იყო შეებოჭათ მთავრობის საქმიანობა, მოღალატური დარტყმა ზურგში რესპუბლიკისათვის მისი ყოფილი პრეზიდენტის კასავუბუს მხრივ, რაც მოხდა პრეზიდენტის ბატონების კარნახით, მობუტუს ბანდიტური პუტჩი, კონგოელი პატრიოტებისა და მათი მეთაურის პატრის ლუმუმბას სიშინელი დახოცვა. აღმოსავლეთ პროვინციისა და კივუს პროვინციის ეკონომიური ბლოკადა — აი კონგოს კრიზისის განვითარების დრამატული ეტაპები არასრული სია, რომელიც ანტუან გიზენგამ აღნიშნა.

„რაკი დარწმუნდნენ, რომ ძალით ვერ დაძლევენ ერთიანობის მომხრეთა მზარდ წინააღმდეგობას, კონგოს ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, — განაგრძო გიზენგამ, — იმპერიალისტებმა და კონგოელი ხალხის მოღალატე მათმა ხელშემწყობებმა შეიცვალეს ტაქტიკა. ამას მოჰყვა ტანანარივისა და კოკიავილის თათბირები, რომლებზეც მიღებულ იქნა რეზოლუციები რესპუბლიკის დანაწილების შესახებ, მაგრამ ეს რეზოლუციები არ მოიწონა მოსახლეობამ, რომლის უმეტესობა ერთიანი კონგოს მომხრეა".

გიზენგა შემდეგ შეჩერდა ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებაზე პარლამენტის მოწვევის შესახებ, გაიხსენა რა კონკრეტული წინადადებანი. პარლამენტის სესიის მოწყობის წესი და ადგილი, მან განაცხადა: „ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ კანონიერ მთავრობას გაჟაღნურებული კრიზისის მშვიდობიანი გადაჭრის საუკეთესო და ერთადერთ საშუალებად მიაჩნია კონგოს პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევა".

გიზენგამ აღნიშნა, რომ მთავრობა მზად არის დათანხმდეს, რომ პარლამენტი მოწვეულ იქნეს სხვა ადგილსაც, გარდა კამინისა, მაგრამ იმ პირობით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უზრუნველყოს პარლამენტარების სრული უშიშროება და კონგოს უმაღლესი ორგანოს ნორმალური მუშაობა.

დასასრულ კანონიერი მთავრობის მეთაურმა განაცხადა: „ჩვენს მთავრობას სწამს თავისი საქმის სიმართლე და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც დაიცვას რესპუბლიკის ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა. ამ პოლიტიკას მხარს უჭერს კონგოელი ხალხის უმეტესობა. სადაც ხალხია, ძალაც იქ არის, ეს კარგად იცის ყველამ.

* * *

კონგო. სტენლივილში გაიმართა პატრის ლუმუმბას ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია.

სურათზე: სიტყვას ამბობს კანონიერი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ა. გიზენგა.

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 10 ივნისი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის აღმასკომის საზეიმო დასკვნითს სხდომაზე ჰავანის კაპიტოლიუმის შენობაში, ხაზი გაუსვა, რომ იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი არის ბალასტი, აფერხებს კაცობრიობის განვითარებას.

კასტრომ ამბილა იმპერიალისტური პროპაგანდისტული მანქანის საქმიანობა, იმპერიალისტური პროპაგანდის ყალბი მტკიცება, რომ კუბის რევოლუცია საბჭოთა კავშირისა და „საერთაშორისო კომუნიზმის" „შელწევის" შედეგია.

კასტრომ თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო უწიგნურობის ლიკვიდაციას კუბაში და სახალხო განათლების განვითარებას.

კასტრომ შეჩერდა გლეხი ახალგაზრდობის გაცვლაზე საბჭოთა კავშირსა და კუბას შორის და გამოთქვა აზრი, რომ გლეხი ახალგაზრდობის გაცვლა მოეწყოს აგრეთვე სხვა ქვეყნებთან.

დამოუკიდებლობა ანგოლას

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს უშიშროების საბჭომ განიხილა მუშაობა ანგოლის მდგომარეობის განსახილველად. საბჭოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა პორტუგალიელ კოლონიზატორთა დაცვას.

ეკვადორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისისა და პორტუგალიის დელეგატთა მტკიცებანი „კომუნისტური ელემენტების შესახებ", რომლებიც თითქოს შეიჭრნენ ანგოლაში, გაოცებას იწვევს. აფრიკის დელეგატთა უმრავლესობა იბრძვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ, განაცხადა მან, და არა კომუნიზმის წინააღმდეგ. დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა შეიგნონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არსებობს აფრიკა-აზიის ქვეყნების სრული სოლიდარობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს ზიგიერთმა დელეგატმა, თუ მათ არა სურთ დაუპირისპირდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდ უმრავლესობას.

თურქეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურქი ხალხი შეშფოთებულია ანგოლის ტრაგიკული ამბებით, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის. უშიშროების საბჭომ, ხაზგასმით აღნიშნა მან, უნდა შეაჩეროს სისხლისღვრა ამ ქვეყანაში.

ჩილის დელეგატმა განაცხადა: შემთხვევითი არ არის, რომ 43 ქვეყანა გახდა ინიციატორი, რომ ანგოლის საკითხი განხილული უშიშროების საბჭოს. ეს მოწმობს, რომ მეტი წილი სახელმწიფოები შეშფოთებული არიან ამ ქვეყნის ამბების გამო. ჩილის დელეგატმა მხარი დაუჭირა ჭეტ წილ დელეგატთა იმ აზრს, რომ უშიშროების საბჭოს სრული უფლება აქვს განიხილოს ანგოლის საკითხი. ჩილის დელეგატმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ანგოლის ამბები შეიძლება გავრცელდეს აფრიკის სხვა რაიონებზე. დასასრულ ჩილის დელეგატმა მოუწოდა ყველა სახელმწიფოს ეცადონ წამოჭრილი პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას და მხარი დაუჭირონ რეზოლუციის პროექტს, რომელიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ციილონისა და ლიბერიის დელეგაციებმა შეიტანეს.

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იტყობინება:

9 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დღის სხდომაზე დამთავრდა ანგოლაში არსებული მდგომარეობის საკითხის განხილვა. საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ავალებს პორტუგალიის ხელისუფლებს შეწყვიტონ რეპრესიები ანგოლის ხალხის წინააღმდეგ. საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია აგრეთვე ყველა სახელმწიფოს მოვალეობა შეასრულონ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის მოთხოვნები.

მდგომარეობა ანგოლაში

ლონდონი, 9 ივნისი. (საკდესი). ანგოლაში გრძელდება აჯანყებულთა გაფანტული შეტაკებანი პორტუგალიის კოლონიურ ჯარებთან.

ბაზაზე არ დაბრუნებულა პორტუგალიის საჰაეროდრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი, რომელიც გუშინ სალიმოს გაფრენდა დამბიდან (ჩრდილოეთი ანგოლა).

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). ანგოლიდან მიღებული ცნობებით, 7 ივნისს 200 პატრიოტმა წარმატებით მოახდინა თავდასხმა ყვინს პლანტაციაზე ამბრიშის ნავსადგურის მახლობლად, აჯანყებულებმა თან წაიღეს დიდძალი იარაღი და სამხმარი მასალა.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ქალაქ სანტა-კრუსში (კონგოს საზღვრის ახლოს) პორტუგალიელთა გარნიზონი მთლიანად იზოლირებულია და მისი მომარაგება თვითმფრინავების საშუალებით ხორციელდება.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲛᲝᲚᲝᲒᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ევროპელთა ყველასათვის ცნობილი სიზუსტისა, ედინბურგიდან ლონდონისაკენ მიმავალმა ჩვენმა მატარებელმა რამდენიმე საათით დაიგვიანა, ღილის შვიდის ნახევრის ნაცვლად ათის ნახევარზე ჩავედით და კინგს კროზის სადგურიდან ისევ ჩვენი „ემბასი ოტელისაკენ" გავემგზავრეთ.

უნივერსიტეტი... სიტი... ტაუერი... ალაყაფის კართან ისევ ისე დგას ტრადიციულად ჩაცმული ყარაული, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ. სასახლის კართან კი უცნაურად ჩაცმული ხაზინაშესული კაცი დაგვხვდა.

სასახლის ოთხკუთხა შეჭვანედ მობიბინე ეზოში ექვსი უზარმაზარი ყორანი დასეირნობს. ისინი აქ ცხოვრობენ სამეფო საგვარეულოს ხარჯზე, რადგან თქმულებით სწორედ ყორნები არიან ტაუერისა და ბრიტანეთის იმპერიის მფარველნი, მათი ამოწყვეტა და ბრიტანეთის იმპერიის დაცემა ერთია, ასეა ეს მიჩნეული ჯერ კიდევ მეფე ჩარლზ მეორის დროიდან. ყორანი მუდამ და უსათუოდ ექვსი უნდა იყოს, როგორც კი ერთი გამოაკლდება, დანაკლისი მყისვე უნდა შეივსოს, ამისათვის ირლანდიაში საგანგებოდ ზრდიან სათადარიგო ყორნებს. თუმცა მათი შეცვლა არც თუ ისე ხშირად უხდებათ — ინგლისელები ეშმაკი ხალხია, ისეთი ფრინველი ამოირჩიეს ერისა და იმპერიის მფარველად, რომელიც 300 წელიწადს ცოცხლობს... საოცარია ის, რომ ამ სასახლეში ყველაფერთან შეგიძლია ახლოს მიხვიდე, თვით უძვირფასეს საგვარეულო ბრილიანტებთან, ყორნებთან მიახლოების უფლებას კი არავინ მოგცემს...

მერე ჩვენი ავტობუსი ოქსფორდისაკენ გაემართა.

სამწუხაროდ, ოქსფორდს ძალიან მალე გამოვეთხოვეთ და პირდაპირ სტრადფორდისაკენ გავემგზავრეთ, მსოფლიოს ყოველი მხრიდან აქ მოემართება ხალხი შექსპირის სამშობლოს სანახავად, მოსახლეობაც ამით ცხოვრობს. ზოგს სასტუმრო აქვს, ზოგი სუვენირებს ამზადებს და ჰაიდის, მეღვინეად სტუმრების მომლოდინე ქალაქი მოგლილია, ყველფერს სიძველის იერი დაჰკრავს — შექსპირისეული ეპოქის თავისებურებათა დარღვევა აკრძალულია ამ ქალაქის გარეგნობაში,

იმ სახლის წინ, რომელშიც უილიამ შექსპირი 18 წლამდე ცხოვრობდა, საგანგებო გიდი მისტერ კოლინზი გველოდებოდა.

საცხოვრებელი ოთახები მეორე სართულზეა მოთავსებული. მთა კონსისტორი ხის ჭერი აქვთ, თეთრად შელესილი კედლები ხის ძელებით არის დასერილი. ისინი 1500 წლიდან ამაგრებენ ამ შენობას. ერთ-ერთ ოთახში ის მერხი დგას, რომელსაც უჯდა სკოლაში დიდი მგოსანი.

კედლის გასწვრივ მინის ჩარჩოებში დაცულია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები შექსპირთა გვარისა, საუკეთესო წიგნი, სადაც შექსპირის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღია რეგისტრირებული, შექსპირის ნაწარმოებთა პირველი გამოცემა — კრებული, რომელიც 37 პიესას შეიცავს და მგოსნის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ გამოუცია.

ინგლისში ჩვენი გამგზავრების წინ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თან გაგვატანა ფოტოალბომი „შექსპირი ქართულ სცენაზე", რომელიც მეჭურალური თეატრისათვის უნდა გადაგვეცა. მაგრამ თეატრი საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ისვენებდა. შევატყობინეთ შექსპირისეული მემორიალური ფონდის დირექტორს ბ-ნ ლეგი ფოქსს. მან შემოგვითვალა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო ნახევარ საათში შექსპირის ქალიშვილის სიუზანას სახლში გამოცხადდება ყველა, ვინც მოგალეა ასეთი საგულისხმო ამბის მოწმე იყოს, და ჩვენც გვთხოვენ იმ დროისათვის სიუზანას სახლს ვეწვეოთო.

ეს სახლი ახლა მუზეუმიც არის და შექსპირისისეული ადგილების დაცვის საზოგადოების კლუბიც. ჩვენი მანქანის მძღოლმა ჰარიმ გაკვირვებულმა გვითხრა, იმ 20 წლის მანძილზე, რაც ტურისტებს დავატარებ, არ მახსოვს შემთხვევა ტურისტები შექსპირის ამ კლუბში მიეწვეოთო, ჰარი ვერ ფარავდა ვერც გაოცებას და ვერც ინტერესს იმის გამო, რომ ამგვარი პატივისცემა სწორედ საბ-ჭოთა საქართველოდან ჩამოსულ ჩვენს ჯგუფს ხვდა წილად.

შექსპირისეული კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ ლეგი ფოქსის გარდა აქ იყვნენ კომიტეტის სპიტალო წევრები ბ-ნი პოლტერი და ბ-ნი ტომასი, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლები, სტუდენტები და ნოელბიტის ეკლესიის წინამძღვარი. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მკაცრად დადგენილი წესისაც კი დაარღვია, დაკეტილი ეკლესია გაგვიღო, რომ საბჭოთა ტურისტებს ინგლისი შექსპირის საფლავის უნახავად არ დაეტოვებინათ.

ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ მოუვლელი, მოუპირკეთებელი ნოელბიტის ეკლესია ძალიან სუფთა, მოვლილი და ლამაზია ზოგნიდან საკურთხევლის წინ საფლავის ქვებია ჩამწკრივებული ერთ ხაზად და მოლიანდია ნაცრისფერი ქვის იატაკის ერთ ნაწილს შეადგენენ. ხელმარცხნივ მეორე ქვა შექსპირის საფლავია. მის ზემოთ, მარცხნივ კედელში მცირე ზომის ნიშია, შიგ შექსპირის ქანდაკებაა წელს ზემოთ, ხელში ბატის ფრთით. სიკვდილის შემდეგ მეშვიდე წლისთავზე გაუკეთებიათ.

ეკლესიიდან რომ დავბრუნდით, სიუზანა შექსპირის სახლში ჩაათა და ტკბილეულით გაგვიმასპინძლდნენ. დარბაზში გაბნეულ მცირე ზომის მრგვალ მაგიდებს შექსპირის კომიტეტისა და ჩვენი ტურისტული ჯგუფის წევრები უსხდნენ. ჩვენი „ინგლისეულის" თამარ ამირეჯიბის, ტანია და ცალა თოფურიძეების, ცალა ანთელავას და რევაზ თაბუკაშვილის წყალობით საუბარი სრულიად თავისუფლად მიმდინარეობდა. ინგლისელები გვეკითხებოდნენ, თუ შექსპირის რომელი პიესები იდგმება საბჭოთა კავშირში, როგორ იდგმება. გაკვირვებული იყვნენ ამით, რომ მოსკოვის დიდ თეატრში ბალეტად დაიდგა „რომეო და ჯულიეტა", თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრში კი — „ოტელო", ინგლისური ბალეტი თურმე არასოდეს არ დაინტერესებულა შექსპირით.

ჩაის შემდეგ ალბომის გადაცემის ცერემონიალი შედგა.

„სიხარულით მინათლდება გული, — დაიწყო აღელვებულმა ვასო გოდიაშვილმა, — იმის გამო, რომ შექსპირის სახლში ვიმყოფები, იმის გამო, რომ ქართველი მსახიობი ვარ, იმის გამო, რომ წილად მხვდა ბედნიერება საქართველოს თეატრალური საზოგადოების ეს საჩუქარი მე გადმოგცეთ".

ბ-ნი ფოქსიც ღელავდა, მანაც მღელვარედ მოგვმართა: „ჩვენთვის უდიდესი სიამოვნებაა თქვენთან შეხვედრა. მიჭირს გადმოგცეთ თქვენ საჩუქრით გამოწვეული სიხარული. ეს ალბომი ხომ ყველასათვის თვალსაჩინო საბუთია შექსპირის პოპულიარობისა საქართველოში და ნამდვილი განძი ჩვენი კოლექციისათვის.

ჩვენ საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა გვაქვს, იქ დაცულია შექსპირის ნაწარმოებთა ოთარგმანები ყველა ენაზე, მათ შორის როგორც ძველი, ისე ახალი რუსული თარგმანები, ქართული კი, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია... „ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა ბ-ნ ფოქსს, რომ ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი გეგეშიძემ ივანე მაჩაბლის თარგმანთა უკანასკნელი გამოცემის სრული კრებული გადასცა. გაოცებული ფოქსი მხურვალე მადლობას გვიხდიდა.

წასვლის დრო დიდი ხანია დადგა, განშორება კი ჯერ არ უნდოდათ. უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, ვასო გოდიაშვილის გულის სიღრმიდან ამომხდა „მიხარის დიდად, თან შექსა მფენს სიხარულისა..." შემდეგ კი „მშვიდობით, სპასო ჯიღლიანნა", ინგლისელები ვერაფერს ვერ მიხვდნენ, სანამ არ გაიგონეს ამ მონოლოგის უკანასკნელი სიტყვები

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲘᲛᲝᲚᲝᲒᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲐᲛᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ"

ᲐᲜᲢᲣᲐᲜ ᲒᲘᲖᲔᲜᲒᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲕᲘᲚᲘ, 9 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფიდიაშინი იუწყება კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ანტუან გიზენგამ 6 ივნისს მიიღო საკდესისა და „იზვესტიის" კორესპონდენტები. გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც გიზენგამ გააანალიზა ამბები

ჟურნალ „ოგონიოკი“-ს ფურცელი
„კომუნისტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა სიცოცხლე პლანეტებზე

ა. ი. ოპარინი,
აკადემიკოსი.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

კოსმოსში გაგარინის გაფრენა მოასწავებს, რომ კაცობრიობა სამყაროს შესწავლის ახალ ერაში შევიდა. კოსმოსის ათვისება, ადამიანის უშუალო გაცნობა ჩვენი მზის სისტემის სხვა პლანეტებთან უზომოდ გაფართოებს და გაალრმავებს ჩვენს ცოდნას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, კერძოდ სიცოცხლის შესახებ მეცნიერების — ბიოლოგიის დარგში.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანის გონება მუდამ ესწრაფოდა სამყაროს შეცნობასა და სიცოცხლის შეცნობას, განუყრელად აკავშირებდა ერთმანეთთან ამ ორ პრობლემას. აზრი, რომ გარემო სამყაროში ყველგან არსებობს სიცოცხლე, ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ანაქსაგორამ თავის მოძღვრებაში „პანსპერმიის“ შესახებ. მაგრამ აღორძინების ეპოქამდე, მთელი შუა საუკუნეთა ხანის განმავლობაში, მხოლოდ დედამიწა ითვლებოდა სამყაროს ცენტრად: ამიტომ სიცოცხლის ყოველგან გავრცელებაც დასაშვებად მიაჩნდათ მხოლოდ ამ ვიწრო ჩარჩოებში, რომლებიც პტოლომეს სფეროებით იყო შემოფარგლული. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც კოპერნიკმა გამოაცხადა თავისი გენიალური ჰელიოცენტრული სისტემა. ამ სისტემაში დედამიწამ თავისი მცირედი ადგილი დაიჭირა მზის გარშემო მბრუნავი სხვა პლანეტების თანაბრად. გაოცებულ ადამიანთა წინაშე გადაიშალა სამყაროს უდიდესი სივრცეები, ხოლო ამასთან ერთად წარმოიშვა კაცობრიობის სანუკვარი ოცნებაც სხვა სამყაროებზე სიცოცხლის შესახებ, ოცნება, რომელიც ამ დროიდან განუწყვეტლივ აღელვებდა და დღესაც დიდად აღელვებს ადამიანებს.

გბგბდული იდეა, რომ ცოცხალი არსებებით დასახლებული სამყარო მრავალია, კოპერნიკის მოძღვრების გამოქვეყნების უკვე ცოტა ხნის შემდეგ გამოთქვა XVI საუკუნის დიდმა მოაზროვნემ ჯორდანო ბრუნომ. თავის თხზულებაში „სამყაროს უსასრულობის შესახებ“ ბრუნო წერდა: „არსებობს აურაცხელი მზეები, აურაცხელი დედამიწები, რომლებიც ბრუნავენ თავიანთი მზეების გარშემო, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენი შვიდი პლანეტა ბრუნავს ჩვენი მზის გარშემო... ამ სამყაროებში ცოცხალი არსებები ცხოვრობენ“.

იგივე აზრი მრავალი წლის შემდეგ ფართოდ განავითარა დიდმა რუსმა მეცნიერმა მიხეილ ვასილის-ძე ლომონოსოვმაც.

გასული საუკუნის დამლევსა და ჩვენი საუკუნის დამდეგს ზოგიერთი მეცნიერი იმ აზრსაც კი გამოთქვამდა, რომ სიცოცხლე დედამიწაზე ოდესღაც სრულიად შემთხვევით მოტანილი იქნა სხვა სამყაროებიდან სპორების ან სხვა სიცოცხლისუნარიანი ჩანასახების სახით. მაგრამ ამგვარ ვარაუდს არავითარი ფაქტიური დასაბუთება არ აქვს, და მეცნიერებამ იგი უარყო.

რასაკვირველია, ცის სხვადასხვა სხეულების განვითარება სულ სხვადასხვაგვარი გზებით უნდა მომხდარიყო. და, შესაძლოა, სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში არსებობს მატერიის მოძრაობის მრავალი ფრიად სრულყოფილი და რთული ფორმა, რომლებიც ჩვენ ახლა ვერც კი წარმოგვიდგენია და რომლებიც სრულებითაც არ არიან იდენტური სიცოცხლისა და ყოველივე იმისა, რაც ჩვენი დედამიწის პირობებში ვიცით.

მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცის აურაცხელ სხეულთა შორის თუნდაც ზოგიერთს ევოლუციის დაახლოებით იგივე გზები უნდა გაევლო, რომლებიც ჩვენმა პლანეტამ განვლო, ამიტომ არ შეიძლება განვიხილავდეთ დედამიწას როგორც სიცოცხლის ერთადერთ სამყოფელს. მატერიის ორგანიზაციისა და მოძრაობის მისი იდენტური ფორმები უნდა გაჩენილიყო კოსმოსის მრავალ სხვა პუნქტშიც.

კვლევა, რომელიც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე წარმოებს, აადასტურებს, რომ ჩვენი მზის სისტემა არ წარმოადგენს რაღაც იშვიათ გამონაკლისს, როგორც წინათ ეგონათ. ახლა ვიცით, რომ ჩვენთან ყველაზე ახლოს მყოფი ბევრი ვარსკვლავი, მსგავსად მზისა, გარემოცულია შედარებით მცირე ბნელი სხეულებით-პლანეტებით, რომლებიც მის გარშემო ბრუნავენ. ეს გვინერგავს იმედს, რომ ზოგიერთ მათგანზე სიცოცხლეა. მაგრამ ეს წარმტაცი იმედი, სანამ კოსმოსში ფრენის ერა დადგებოდა, ემყარებოდა მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოსაზრებებს, ხოლო ჩვენი კონკრეტული მონაცემები ცის ამა თუ იმ გარკვეულ სხეულზე, მათ შორის ჩვენთან ყველაზე ახლოს მყოფ პლანეტებზეც, სიცოცხლის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ მეტად არაპირდაპირ ხასიათს ატარებს და უნაკლო დასკვნების გამოტანისათვის საფუძველს არ გვაძლევს.

ყველაზე ხშირად შესწავლის საგანია პლანეტების ზედაპირზე არსებული ფიზიკური და ქიმიური პირობები. შემდეგ მათ ადარებენ იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ჩვენი დედამიწის ორგანიზმების სიცოცხლისათვის, და აქედან აკეთებენ დასკვნას მოცემულ პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობის შესახებ. სავსებით გასაგებია, რადგან მერყეევია ამგვარი დასკვნები. საკითხისადმი ასეთი მიდგომის დროს სიცოცხლის არსებობის შესახებ დადებითი დასკვნის გამოსატანად ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ მონაცემებს ვიღებთ ჩვენი თანამგზავრისათვის — მთვარისათვის. ეს დაკავშირებულია როგორც მთვარის ზედაპირზე ტემპერატურის მკვეთრ მერყეობასთან, ისე იქ წყლისა და რამდენადმე მნიშვნელოვანი ატმოსფეროს არარსებობასთან.

მთვარის ეკვატორზე ტემპერატურა ნულს ზემოთ 100 გრადუსს აჭარბებს, როცა მზე ზენიტშია, ხოლო მთვარის ბანგრძივი ღამის განმავლობაში მინუს 150 გრადუსამდე ეცემა. მაგრამ ტემპერატურის ასეთი მკვეთრი მერყეობა დამახასიათებელი აღმოჩნდა მთვარის მხოლოდ სულ ზედა გარეშე თხელი ფენისათვის, რომელიც, როგორც ჩანს, ძლიერ დაჭუმცცებული ვულკანური ფერფლისა და ნაწილობრივ მეტეორიტული მტვრისაგან შედგება. ამ ფენის სიხქე ალბათ რამდენიმე სანტიმეტრს არ აღემატება, მაგრამ მას მაღალი თერმოიზოლირებელი თვისებები ახასიათებს. ამიტომ მის ქვეშ ტემპერატურის მერყეობა უკვე გაცილებით ნაკლებია, ხოლო რამდენიმე მეტრის ან შესაძლოა რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზეც კი მთვარის ქანები ინარჩუნებენ თავიანთ მუდმივ ტემპერატურას (რაღაც დაახლოებით მინუს 20 გრადუსს). ამრიგად, ფრიად პრობლემატურ „მთვარის მცხოვრებლებს“ ან ახლო მომავალში სავსებით შესაძლო კოსმონავტებს, რომლებიც მთვარეზე მიფრინდებიან, ალბათ შეეძლებათ შედარებით ნაკლები სიღრმის ნაპრალებში ჰპოვონ თავშესაფარი როგორც მზის მცხუნვარე სხივებისაგან, ისე მთვარის ღამის საშინელი სიცივისაგან.

უფრო ცუდად არის საქმე მთვარის ატმოსფეროს მხრივ. როგორც ჩანს, იგი სავსებით უმნიშვნელოა ამ შემთხვევაშიც კი, თუ მთვარის ზედაპირზე საერთოდ არის მუდმივად არსებული გაზები. დროებითი ნისლის ტიპის ადგილობრივი გაბუნდოვნებანი, რომლებზეც ბევრ ავტორს უწერამოებია დაკვირვება, განპირობებულია უფრო გაზების გამოყოფით, რომლებიც წარმოიშობა მთვარეზე მიმდინარე ვულკანური მოქმედების შედეგად. ამგვარ მოვლენაზე ამას წინათ დაკვირვებას აწარმოებდნენ კოზირევი და ეზერსკი; მათ სპექტროსკოპულად გამოიკვლიეს გაზები, რომლებსაც კრატერი ალფონსი გამოყოფს, და მათში ნახშირბადოვანი შენაერთებიც კი აღმოაჩინეს. მაგრამ ამ გაზებიდან ბევრს ალბათ ვერ აკავებს მთვარის მიზიდულობა. ყოველ შემთხვევაში ძნელია ვივარაუდოთ, რომ მთვარეზე არსებობდეს წყალი ან მისი ორთქლი რაღაც რაოდენობით. ეს ფრიად საეჭვოს ხდის ვარაუდს მთვარეზე სიცოცხლის შესაძლებლობის შესახებ.

მზესთან უფრო ახლო მყოფი ჩვენი მეზობელი პლანეტის ვენერის ზედაპირს ჩვენგან ფარავს ღრუბლების მთლიანი ფენა. ამიტომ ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ პლანეტაზე ფიზიკური პირობების შესახებ. ვენერის ინფრაწითელი გამოსხივების უშუალო გაზომვამ . შეიძლება დაახასიათოს მხოლოდ ღრუბლების ზედაპირის ტემპერატურა. იგი მინუს 33—მინუს 38 გრადუსს უდრის.

რადიოტალღების გამოყენებით შეიძლება თვით პლანეტის ზედაპირის ტემპერატურაც გამოვარკვიოთ. აღმოჩნდა, რომ იქ მეფობს ნულს ზევით 300 გრადუსამდე ტემპერატურა. ვენერის მძლავრი ატმოსფერო ეტყობა შეიცავს აზოტს და უმთავრესად ნახშირმჟავა გაზს, რომელიც იქ რამდენიმე ასეულჯერ მეტია, ვიდრე დედამიწის ატმოსფეროში. ამას წინათ მოხერხდა იმის გამორკვევა, რომ ვენერის ატმოსფერო უეჭველად შეიცავს წყლის ორთქლს. ამერიკელი მეცნიერების მენცელისა და უიპლის აზრით, ვენერის მთელი ზედაპირი დაფარულია წყლის სქელი ფენით. ამაზე მიგვითითებენ მთელი რიგი გარემოებანი, კერძოდ ის, რომ ვენერის ატმოსფერო დიდი რაოდენობით შეიცავს ნახშირმჟავა გაზს. მაგრამ როცა ტემპერატურა ნულს ზევით 300 გრადუსია, წყლის ოკეანის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მეტად მაღალი ატმოსფერული წნევისას, რომელიც დაახლოებით 90-ჯერ აღემატება დედამიწისას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წყალი აორთქლდებოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი დედამიწის ორგანიზმებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვენერის ზედაპირზე არსებული ფიზიკური პირობები სიცოცხლის შესაძლებლობას გამორიცხავენ, თუმცა ორგანოქმიური ევოლუციის პირველი ეტაპები იქ სავსებით წარმატებით შეიძლება მიმდინარეობდეს.

ჩვენს დედამიწაზე სიცოცხლის თვალსაზრისით მეტად მძიმე პირობებია მარსზეც. ამ პლანეტის ატმოსფერო ძლიერ გაუხშოებულია. მეტ ნაწილად იგი ალბათ შედგება აზოტისაგან, ინერტული გაზებისა და მცირეოდენი წყლის ორთქლისაგან. ნახშირმჟავა იქ დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე დედამიწაზე. თავისუფალი ჟანგბადის არსებობა მარსზე დღემდე არ არის გამორკვეული. მარსის ატმოსფეროში შეიძლება შევამჩნიოთ ყინულის კრისტალებისაგან შემდგარი ბუმბულისებრი ღრუბლები და მტვრის ან სილის ყვითელი ღრუბლები. მარსის პოლუსებზე თეთრი ქუდებია, რომლებიც ყინულისაგან შედგება. ამ ყინულის ფენის სისქე დიდი არ არის—სულ ბეცერი რამდენიმე სანტიმეტრს უდრის. გაზაფხულზე პოლარული ქუდების კიდეებზე და შემდეგ ეკვატორის მიმართულებით ჩნდება მუქი ომოწვანო-ცისფერი მომიჯნავე ზონები, რომლებსაც ბევრი ავტორი ვეგეტაციის ზონებად თვლის. ეს ზონები თანდათან ფართოვდება გაზაფხულის ლანქერის მოძრაობის მიხედვით. მარსზე მეტისმეტად მკაცრია. დედამიწის პირობებში იგი ზღვის დონიდან 20 კილომეტრ სიმაღლეზე მდებარე მთის პოლარული პლატოს ჰავის შესაბამისი იქნებოდა.

მეცნიერულ ლიტერატურაში ფრიად განსხვავებული, ზოგჯერ ერთმანეთის პირდაპირ საწინააღმდეგო თვალსაზრისებია მარსზე სიცოცხლის შესაძლებლობის შესახებ. ამ შესაძლებლობის მხურვალე მომხრე იყო ჩვენი განსვენებული ასტრონომი ტიხოვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მარსზე მაღალგანვითარებული მცენარეულობაა. სხვანაირად უდგება ამ საკითხს მეორე საბჭოთა მეცნიერი—ლებედინსკი. იგი აღნიშნავს, რომ წყლის ორთქლი, რომელიც აშკარად არასაკმარისია მარსის ატმოსფეროში, შეიძლება სითხედ შესქელდეს პლანეტის ზედაპირზე და ამ გზით შექმნას პირობები ინსისათვის, რომ ამ ზედაპირზე არსებობდნენ შედარებით დაბალი ორგანიზაციის, ანაერობული მიკრობები, რომლებიც მთელ თავიანთ ცვლას უეჭველად ახორციელებენ. ამრიგად, ავტორის აზრით, სიცოცხლე მარსზე წარმოდგენილია ორგანიზაციის სხვა, უფრო პრიმიტიული ფორმებით, ვიდრე დედამიწაზეა.

ᲧᲕᲔᲚᲐ ეს გონებამახვილური მოსაზრებანი მხოლოდ მეტად თუ ნაკლებად შესაძლო ვარაუდებია. სანამ საპლანეტათშორისო მოგზაურობათა ერა დადგებოდეს, ჩვენ საკმაო საფუძველი არა გვაქვს არც იმისათვის, რომ ვამტკიცებდეთ და არც იმისათვის, რომ უარყოფდეთ სიცოცხლის შესაძლებლობას რაიმე არამიწიერ, ცის ობიექტზე. არ უნდა გვავიწყდებოდეს, ჯერ-ერთი ის, რომ ფიზიკურ და ქიმიურ ვითარებას პლანეტების ზედაპირზე შეიძლებოდა არსებითი ცვლილებები განეცადა მათი წარმოშობისა და განვითარების პროცესში და, მეორეც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ცოცხალ არსებათა ორგანიზაცია იქმნებოდა გარემოსთან მათი სპეციფიკური ურთიერთმოქმედების შედეგად. ცის სხვა სხეულებზე წარმოშობილი ორგანიზმებისათვის ჩვენი დედამიწის პირობები შეიძლება შეუფერებელი აღმოჩნდეს, და პირიქით.

ამასთან ერთად არა მარტო გარემო ახდენს გავლენას ორგანიზმზე, არამედ ორგანიზმიც ამა თუ იმ ზომით ცვლის, თავისი არსებობის შესაბამისს ხდის იმ გარემოს, სადაც არსებობს. ზოგჯერ ეს შეგუება ფართო კოსმოსური მასშტაბით ხდება — იცვლება მოცემული პლანეტის მთელი ბიოსფერო, და ამის დადგენა შეიძლება ასტრონომიული დაკვირვებით. მაგრამ სხვა შემთხვევებში ასეთ ცვლილებებს სავსებით ლოკალური ხასიათი აქვს, და გარეგნული შეჯამებითი დაკვირვებისას შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მოცემულ შემთხვევაში ორგანიზმი არსებობს სიცოცხლისათვის შეუსაბამო პირობებში.

ᲐᲛᲘᲡ მაგალითს წარმოადგენენ ზოგიერთი ბაქტერიები, რომლებიც ვითარდებიან ისეთ გარემოში, სადაც ტემპერატურა მნიშვნელოვნად უფრო დაბალია ნულზე. მაგრამ ეს განპირობებულია მხოლოდ იმით, რომ ისინი ლოკალურად ათბობენ პლუსის მნიშვნელობამდე ტემპერატურამდე გარემოს მცირე, უშუალოდ მათ მომიჯნავე უბნებს. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მაღალორგანიზებულია მოცემული ცოცხალი არსება, რაც უფრო წინ წასულა იგი თავის ევოლუციურ განვითარებაში, მით უფრო აქტიურად შეუძლია მას ემანსიპირება არახელსაყრელი გარე პირობებისაგან. ეს შეიძლება დავინახოთ იმ თბილსისხლიან ცხოველთა მაგალითით, რომლებიც არქტიკაში ბინადრობენ.

ადამიანი, რომელიც მატერიის მოძრაობის უკვე უფრო მაღალ ფორმას მოასწავებს, ვიდრე ბიოლოგიურს, სახელდობრ სოციალურ ფორმას, აღნიშნული მიმართულებით

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ.
ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲡ ᲓᲝᲠᲘᲡ ᲚᲐᲘᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი ფინელი ბალერინას დორის ლაინეს სახელი. პირველად იგი 1957 წელს ესტუმრა საბჭოთა კავშირს ფინეთის ეროვნული ბალეტის თეატრის მსახიობებთან ერთად და დიდი წარმატებით გამოვიდა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამალეტო სპექტაკლში— „ა. დელიბის „კოპელიაში“. ერთი წლის შემდეგ იგი კვლავ ჩამოვიდა მოსკოვში თავისი ოსტატობის სრულყოფის მიზნით და მეცადინეობდა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე გამოჩენილი საბჭოთა ბალერინის მარიამ სემიონოვას ხელმძღვანელობით.

დორის ლაინე დაიბადა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში 1931 წელს. ქორეოგრაფიული განათლება მიიღო ეროვნულ ოპერასთან არსებულ სამალეტო სკოლაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო ცნობილი ფინელი ბალეტმაისტერი ალექსანდრე საქსელინი, რომელიც ლენინგრადის სამალეტო სკოლაში აღიზარდა.

თბილისელი მაყურებელი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველად გაეცნო ნიჭიერ ფინელ ბალერინას. ქართველი მაყურებლის წინაშე პირველი გამოსვლისათვის დორის ლაინემ აირჩია რუსული სამალეტო ხელოვნების შედევრი პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, რომელშიც შეასრულა ოდეტა-ოდილიას პარტია. მიმზიდველი გარეგნობით, საუკეთესოდ დაეუფლებული ტექნიკით მან მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. ბრწყინვალედ იცეკვა დორის ლაინემ ცნობილი ოდამეთორმეტე „ფუეეტე“, იგი უნაკლოდ არის დაუფლებული ქორეოგრაფიის ეგრეთწოდებულ „წვრილმან ტექნიკას“.

თბილისის სამალეტო თეატრის სცენაზე შექმნილ ოდეტა-ოდილიას სახესთან შედარებით დორის ლაინეს ეს პარტია თითქოს რამდენადმე მსუბუქად აქვს დამუშავებული. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დორის ლაინე ბრწყინვალე მოცეკვავეა, რომელიც საუკეთესოდ ფლობს კლასიკური ბალეტის ყველა ურთულეს კომპონენტს. დორის ლაინე უაღრესად გულთბილად მიიღო თბილისელმა მაყურებელმა და ღირსეულად შეაფასა მისი ნიჭი.

მეორედ დორის ლაინემ ჟიზელის როლი შეასრულა. ა. ადანის ამავე სახელწოდების ბალეტში, სცენური წარმოსახვის თვალსაზრისით ჟიზელის პარტია უაღრესად რთულია, რადგან რამდენსამე კონტრასტულ სახეს შეიცავს ჟიზელი — მხიარული სიცოცხლით სავსე სოფლელი გოგონა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი საქმრო ალბერტი, ჟიზელი—საყვარელ ადამიანში იმედგაცრუებით დასეული ბენული და გონებადაკარგული, ჟიზელი — აჩრდილი. სწორედ ამიტომ ამ როლი, მაგრამ საინტერესო სახის შექმნა დიდ ტექნიკურ და სცენურ მომზადებას მოითხოვს შემსრულებლისაგან. ფინელ ბალერინას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ სირთულეს.

დიდი გამომსახველობით და დამაჯერებლობით ჩაატარა ბალერინამ პირველი მოქმედება. ტექნიკური თვალსაზრისით მაღალ პროფესიულ დონეზე იცეკვა მეორე მოქმედებაშიც.

ორივე სპექტაკლში ფინეთის ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენელს დორის ლაინეს საუკეთესო პარტნიორობა გაუწია ზურაბ კიკალეიშვილმა, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი ოსტატობითა და სცენური სრულყოფილებით შეასრულა პრინც ალფრედის („გედის ტბა“) და გრაფ ალბერტის („ჟიზელი“) პარტიები.

მ. შაველიშვილი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐ: სცენა ბალეტ „გედის ტბიდან“. ოდეტა-ოდილია — დორის ლაინე, პრინცი ალფრედი — ზურაბ კიკალეიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

მოსკოვი, 10 ივნისი. (საკდესი). მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელისწინა, მეათე ტურმა ხუთი გათამაშებული პარტიიდან ოთხი შეხვედრა: სმისლოვ (სსრ კავშირი)-ოლაფსონის (ისლანდია), პორტიშ (უნგრეთი)-გუფელდის (სსრ კავშირი), ბრონშტეინ (სსრ კავშირი)-ბისპაიერის (ამერიკის შეერთებული შტატები), რაბარ (იუგოსლავია)-ტოლუშის (სსრ კავშირი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

საერთაშორისო ოსტატმა არონინმა დაამარცხა ოსტატი ბაკულინი. საერთაშორისო ოსტატის ვასიუკოვისა და ჩეხოსლოვაკიელი გროსმასტერის პახმანის შეხვედრა არ გამართულა.

ტურნირში პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს ექს-ჩემპიონს სმისლოვს, რომელმაც მოაგროვა 7 ქულა.

შეჯიბრების უკანასკნელი, მეთერთმეტე ტური გაიმართება 11 ივნისს.

„ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

გუშინ მოსკოვში შედგა პირველი ქვეჯგუფის მეორე წრის პირველი კალენდარული მატჩი 1961 წლის პირველობაზე ფეხბურთში,

ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ხარკოვის „ავანგარდის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 2 : 1.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). გუშინ აქ გაიმართა „ბ“ კლასის ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ტაშკენტის „სტარტი“ და ქუთაისის „ტორპედო“. შეხვედრა დამთავრდა 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, ქუთაისის „ტორპედოს“ 12 თამაშის 24 შესაძლებელიდან მოგროვილი აქვს 20 ქულა და თავის ზონაში მტკიცედ ლიდერობს.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

გომელი, 10 ივნისი. (საკდესი). აქ გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად ფეხბურთში. გომელის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა მიიღეს თბილისელი თანაკლუბელები. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:0 ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲒᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ



გ. ჩიქვანაია.

ლ. გოგოლაძე
მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

* * *

ᲒᲣᲨᲘᲜ ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში მიმდინარეობდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეექვსე ტური.

მოსკოვის „ბურევესტნიკისა“ და ტალინის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2 : 1 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ.

ლენინგრადის გუნდების „ბალტიკისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს „ბალტიკის“ წყალბურთელებმა 4 : 3.

თბილისის „დინამო“ თამაშობდა მინსკის „ბურევესტნიკის“. წინააღმდეგ. ამ დღეს თბილისელებმა მეექვსე გამარჯვება მოიპოვეს. მატჩის საერთო ანგარიშია 10 : 4. ბურთები გაიტანეს: გვახარიამ (3), ჩხიკვაძემ (3) ჩიქვანაიამ (2) მიმინოშვილმა და მეგედმა (თითო-თითო).

ფინალში გასვლისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა „ტრუდის“ (მოსკოვის ოლქი) და კიევის „ბურევესტნიკის“ ასპარეზობას. მოსკოვის ოლქის სპორტსმენებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და მოიგეს 2 : 1.

უკანასკნელი ტურის წინ თბილისის „დინამოს“ 12 ქულა აქვს. მიუხედავად იმისა თუ როგორი იქნება ბოლო მატჩის შედეგი, მათ გაინაღდეს ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება.

9 ქულით მეორე ადგილზეა მოსკოვის „ბურევესტნიკი“. ლენინგრადის „ბალტიკას“ 8 ქულა აქვს, „ტრუდს“ (მოსკოვის ოლქი) და კიევის „ბურევესტნიკს“ — 7-7 ქულა.

ღღეს თბილისელები ხვდებიან კიევის „ბურევესტნიკს“.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ᲣᲪᲮᲝᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲔᲕᲠᲘ საბჭოთა და უცხოელ ტურისტი ჩამოდის წელს აჭარის თვალწარტაცი მიდამოების დასათვალიერებლად, ჩვენი შრომის მოყვარე ადამიანების გასაცნობად.

ამ დღეებში ბათუმის ნავსადგურში პარველად უუზა ჩაუშვა ტურბოელექტრომავალმა „აბხაზიამ“, რომელმაც ბათუმში ჩამოიყვანა 376 უცხოელი ტურისტი.

ტურისტთა დიდი უმრავლესობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქების ბერლინის, დრეზდენის, ბრანდენბურგისა და სხვათა მცხოვრებნი არიან. უცხოელმა მანქანათმშენებლებმა, საფეიქრო, კერამიკული საწარმოების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, ექიმებმა და ჟურნალისტებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს აჭარის კურორტები, ბოტანიკური ბაღი, ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის პლანტაციები, ჩაის ფაბრიკა.

ჩამოსულ ტურისტებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, პიონერებმა.



ᲡᲐᲑᲐᲒᲘᲠᲝ ᲒᲖᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის მშენებაა, რომლის მარჯვენა სანაპიროზე აღმართული, მწვანე ხეივნებით მოქარგული ბესიკის გორა, სადაც კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკია გაშენებული. აქედან ხელისგულივით მოჩანს მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე წულუკიძის სახელობის სკვერი. ახლა ეს ორი ულამაზესი ადგილი უმოკლესი მანძილით — საპაერო-საბაგირო გზით დაუკავშირდა ერთმანეთს.

ამ დღეებში აქ გაიხსნა ქუთაისში პირველი საბაგირო გზა. მისი სიგრძე 400 მეტრია. თვითეული კომფორტაბელური ვაგონში ეტევა 12 კაცი. გზის სადგურები მოჰირკეთებულია ეკალის ქვითა და კურსების გრანიტით, შიგა კედლები ლოპოტის მარმარილოთია დამშვენებული.

ეს საუკეთესო ნაგებობა დააპროექტა საქართველოს „გიპროშახტპროექტმა“. პროექტის დამუშავებაში მონაწილეობდნენ ქუთაისელი არქიტექტორები შ. ნ. სელიძე, გ. თოდაძე, დ. ლევაძე. დანადგარები დაამონტაჟა ტრესტ „სოიუზპრომმექანიზაციის“ ტყვარჩელის მექანიკოსთა ბრიგადამ. მშენებლობას აწარმოებდა მეოთხე სამშენებლო ტრესტის-მეოთხე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲖᲔ: ახალი საბაგირო გზის ვაგონებს გადაჰყავს მგზავრები.

ფოტო ო. ბერეჩიკიძისა.

11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — წითელქუდა (დღისით), ოტელო (საღამოს. მე-16 აბონ. მე-9 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ბალისიანი მაგბრები (დღისით), რიცა ასეთი სიყვარულია... (საღამოს). მარჯანიშვილის სახელობის — აფროდიტეს კუნძული (დღისით და საღამოს), სანკულტურის თეატრი — ოთარი ივანმყოფლობა (მე-5 აბონ.), ფილარმონიის საზაფხულო ესტრადა-ჯაზის საესტრადო ორკესტრი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 12.00—„ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 სტენლეიბოი ჩარკვეა—„ჩარის დაქალაკის შემდეგ“, 12.50—უფროსკლასელთათვის — მხატვრული ფილმი „ანდრესის ბედნიერება“, ფილმის დამთავრების შემდეგ ინგლისური ენის გაკვეთილი, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 — სამალეტო მუსიკის საღამო, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა — „ქართული კინოპლაკატი“, 20.10 — მხატვრული ფილმი „გაუგზავნელი წერილი“.

უე 01034

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.